№ 148

კვირა, 21 აგვისტო

1877—1905

№ 148

კვირა, 21 აგვისტო

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დაუბეჭდავი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ.-ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

# ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

## რედაქციისაგან

როგორც უკვე გამოცხადებულიცა გვაქვს, ვაუწყებთ ხელნაწერების ავტორებს, რომ **წვრილ წერილებსა და ლექსებს**, რომლებიც დასაბეჭდად არ გამოდგება, **რედაქცია არ ინახავს**. წერილებისა, ან ლექსების დაუბეჭდაობის მიზეზს ბ.ბ. ავტორები დღეის შემდეგ „ივერიის ფოსტაში“ ამოიკითხავენ ხუთშაბათობითა და კვირაობით.

---

**ლუარსაბ ქაიხოსროს ძე ყიფიანი, პეტრე სამსონის ძე მაჭავარიანი, დავით ლუარსაბის ძე ყიფიანი, სიმონ ზურაბის ძე და ანნა ივანეს ასული მაჭავარიანები** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ სოფ. ბორში უეცრად გარდაიცვალა პირველის შვილი, მეორის მეუღლე, მესამის დაჲ და მეოთხეთა რძალი

### სოფიო ლუარსაბის ასული მაჭავარიანისა

განსვენებულს დაკრძალავენ სოფ. ბორში 21 აგვისტოს. (2—2).

---

ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის წინადადებისამებრ, ამა 9 აგვისტო თარიღით, № 263, **ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი თავ. ა. მ. სუმბათაშვილი**,—თანახმად ადგილობრივ მცხოვრებელთა წარმომადგენლების მოსაწვევად არსებულის ინსტრუქციის მე-2 და მე-5 მუხლებისა, რომელიც შეეხება ამიერ-კავკასიაში საერობო დაწესებულებათა შემოღებისთვის სათათბიროებსა და კრებებში წარმომადგენელთა არჩევას,—სთხოვს ტფილისის მაზრის ყველა კერძო მემამულეთ, რომელიც სხვადასხვა სასოფლო საზოგადოებაში არ ირიცხებიან, აგრეთვე სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათა პატრონებსა და იმ მესაკუთრე გლეხებს, რომელთაც, გარდა სანადელო მიწებისა, საკუთრად შენაძენი მიწებიცა აქვთ, **მობრძანდნენ ამა წლის 26 აგვისტოს, დილის 10 საათზე, ქართველ თავად-აზნაურთა ქარვასლაში** (სასახლის ქუჩაზე), სადაც გაიმართება წინასწარი და საარჩევნო კრება ამიერ-კავკასიაში საერობო დაწესებულებათა შემოსაღებად დაარსებულს სამაზრო სათათბიროებში წარმომადგენელთა ასარჩევად. განსაკუთრებული მოწვევის ბარათები არავის დაურიგდებათ. (3—6.—2).

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ფ. ჟ. ჩიქოვანი.**—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**გ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი**—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი**—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ვ. ა. თარხანოვი**—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

**ხ. ქ. აბიანცი**—შინაგან ავადმყ. 7—8 საათ.

**პ. ა. არდაზიანი.**—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშნვით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

**Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.**
**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.** წლ.

**ტფილისის ექიმები.**

ვაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

კბილის ექიმი
**ივანე პ. ახალშენიშვილი**
**გადავიდა:** ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი **ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

**ალექსი-მესხიშვილი**, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

**გ. ს. მუსხელიშვილი**—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

**გძელიშვილი კონსტანტინე**—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

**ბესარიონ პაპოვი**—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

**დიასამიძე ალექსანდრე**—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18.—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

**ვაჭაძე სპირიდონ**—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

**ექვთიმე ვაშაკიძე**—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112.

## ამნისტია

რუსეთის პრესსა ამჟამად ხშირად ეხება ამნისტიის საკითხს და ზოგიერთი გაზეთი დანამდვილებით ამბობს, რომ ახლო მომავალში ამნისტია, ანუ პოლიტიკურ დამნაშავეთათვის „დანაშაულის“ პატიება და სასჯელისაგან მათი განთავისუფლება მოსალოდნელი არისო. თუ რამდენად ფართო და სრული იქნება ეს ამნისტია, ამისი წინდაწინ თქმა ძნელია. ძნელია, რადგან ამნისტიის განმხორციელებელი ძალა არ არის ჯერ-ჯერობით რუსეთში იმ უფლებრივ [illegible] დამყარებული, რომელიც თავისთავად უარჰყოფს ამნისტიის საგნად გასახდომ „დანაშაულის“ მართლა დანაშაულობას და, მაშასადამე, უმართლოდ დასჯილებად გულისხმობს ყველა იმ პირთ, რომელთაც აწინდელ პირობებში მოამხდარმა ამნისტიამ უნდა „აპატიოს“ მათი ძველი რეჟიმის საწინააღმდეგო მოქმედება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, შესაძლებელია, რომ მცირე ზომის ამნისტია ეხლანდელმა ბიუროკრატიულმა რეჟიმმაც მოახდინოს, რადგან ცხოვრების წინმსვლელობა, საზოგადოების ცნობიერების ზრდა და განვითარება თანდათან ძალას ატანს ბიუროკრატიას—შეცვლილ დროსა და გარემოებას ცოტა რამ დაუთმოს და ამრიგად ძველ დახშულ წყობილების სამფლობელოს შენგრეული კარები ცოტათი გამოაღოს, რათა შიგ უფლებრივ სინათლის მცირე შუქს გზა მისცეს და საერთო მოქალაქობრივ უფლების შეგნებაზე დამყარებულ საზოგადო მოთხოვნილებას ანგარიში გაუწიოს...

მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ რიცხვი იმ პირთა, რომელთაც პოლიტიკური ამნისტია უნდა შეეხოს და თავისუფლება მიენიჭოს, რუსეთში აურაცხელია. ბიუროკრატიულმა რეჟიმმა არ იცის აზრის, სიტყვის, წერის თავისუფლება. მისგან აკრძალულია ყველაფერი, რაც ბიუროკრატიულ წესსა და წყობილებას არ ეთანხმება, რაც არსებულ ცხოვრების სიდუხჭირეს ეწინააღმდეგება, თავისუფლებას ელტვის, ხალხის ინტერესებს ემსახურება. მაგრამ, მოგეხსენებათ, არავითარ აკრძალვას არ ძალუძს აზრის მუშაობის შეჩერება, არ ძალუძს მსჯელობის დამონება და თავის ნებაზე ტარება, არ შეუძლია ცხოვრების განვითარების შეყენება. და ამიტომ, მიუხედავად ბიუროკრატიულ აკრძალვისა და დევნისა, ძველ რეჟიმს, რომელიც ხალხის ყოველ მხრივ დაპყრობა-დამონებაზეა აგებული, ბლომად უჩნდებოდნენ მოწინააღმდეგენი და ხალხის გამოღვიძების მოსარჩლენი. ბიუროკრატია ყველა ამათ, რომელნიც მას სახელმწიფოს მტრებად ჰყავდა გამოცხადებული, ეძებდა გამუდმებით, აგროვებდა ერთად და აშორებდა „კეთილსაიმედო“ მცხოვრებლებს, რათა მათი შხამით ესენიც არ მოწამლულიყვნენ...

ბიუროკრატიისათვის შხამს წარმოადგენს ყოველი ახალი აზრი, ყოველი მისწრაფება თავისუფალ მოქალაქობრიობისადმი... ყველაფერს, რაც ყველა კულტურულ სახელმწიფოებში ნებადართულია და თითოეულ მოქალაქის უცილობელ უფლებას შეადგენს, ბიუროკრატია სასტიკად სდევნის, რადგან მისი ბატონობა უფლებათა უარისყოფაზეა დამყარებული. კულტურულ სახელმწიფოთა კანონმდებლობამ არ იცის, თუ რა არის პოლიტიკური დამნაშავე, რადგან იქ ყველა მოქალაქეს აქვს უფლება თავისუფლად გამოსთქვას თავისი აზრი არსებულ სოციალ-პოლიტიკურ წესწყობილებისა და კანონების წინააღმდეგ და იმოქმედოს კიდეც ცხოვრებაში თავის აზრ-შეხედულების განსახორციელებლად. ეს იმიტომაა, რომ თითოეულ კულტურულ სახელმწიფოს პოლიტიკური ორგანიზაცია უფლებრივ წყობილების საფუძველზეა აგებული და იქიდან განდევნილია თვითნებობა ბიუროკრატიულ—ადმინისტრატიული...

მაგრამ თავისუფალი წყობილება, რომელიც დღეს მოწინავე ქვეყნებშია დამყარებული, ქვეყნის დასაბამიდანვე არ ყოფილა იქ შემოღებული. იყო ისეთი დრო, როცა იქაც ხალხი განიცდიდა ბიუროკრატიის უსაზღვრო ბატონობას, ასე რომ რუსეთის ბიუროკრატიის დღევანდელი „კრიზისი“ ერთად-ერთი მაგალითი არაა მსოფლიოს ისტორიაში. ხალხის შეგნების ზრდას და უფლებრივ შემეცნების განვითარებას შედეგად მოსდევს ყოველთვის მოქალაქობრივ წყობილების დამყარება და, როგორც ლოღიკური შედეგი ამგვარ ცვლილებისა, ისპობა სახელმწიფოს კანონმდებლობაში იმ დანაშაულთა კატეგორია, რომელსაც საერთო სახელად „პოლიტიკური“ ეწოდება. მაშინ ლოღიკურის აუცილებლობით ხდება განთავისუფლება ყველა იმ პირთა, რომელნიც თავის მტრებად და, მაშასადამე, დამნაშავეებად მიაჩნდა ძველს წეს-წყობილებას...

რუსეთში ჯერ კიდევ სასურველ ზომამდის ვერ მიაღწია ხალხის მოქალაქობრივმა ცნობიერებამ,—ხალხი აქ ჯერ კიდევ ვერ უდგას სათავეში სახელმწიფოს წყობილების ცვლილების საქმეს და ამიტომ... რეფორმები ზევიდან მოდიან... ამიტომ ბიუროკრატიის მხრით მოსალოდნელ ამნისტიასაც სხვა თვალით უნდა შევხედოთ, ვიდრე თვით ხალხისაგან მოხდენილ ამნისტიას. პირველ შემთხვევაში რჩება ან განზრახვა აქვთ მაინც დასტოვონ ის წესი, რომელმაც აუცილებელი გახადა ამნისტიით საპატიებელ დანაშაულთა არსებობა; მეორე შემთხვევაში კი იცვლება თვით ნიადაგი უფლება-კანონისა და სასჯელ ახდილი დანაშაული მოქმედების უფლება ხდება ყოველ მოქალაქისა..

მაგრამ ეს დრო რუსეთში [illegible] არ დამდგარა,—თუმცა ეს ამნისტია სხვა პირობებში ხდება, ვიდრე უნდა მოხდეს იგი ხალხის-მიერ უფლებრივ წყობილების დამყარების დროს, მაგრამ მასაც, უეჭველია, თავისი მნიშვნელობა ექნება: საზოგადოებას დაუბრუნდება თვალსაჩინო მომქმედი ძალა.

## პარლამენტი და სამინისტრო

კაცობრიობის მოქალაქობრივ განვითარებაში, სხვადასხვა პირობების გამო, ქვეყნიერების სხვადასხვა კუთხე ერთნაირის სისწრაფით არ ვითარდება. ზოგიერთმა ქვეყანამ ხანგრძლივ და ინტენსიურ მოქმედებით შექმნა მაღალი ცივილიზაცია, დაამყარა მოქალაქობრივი ცხოვრება და გზა გაუკაფა დემოკრატულ განვითარებას. სამაგიეროდ არის ჩამორჩენილი ქვეყნებიც, სადაც ხალხმა ვერ მოახერხა ძველ ცხოვრებისაგან თავის დახწევა და ახალ მოქალაქობრივ ცხოვრების დამყარება.

როგორი უნდა იყოს ამ ჩამორჩენილ ქვეყნებში განვითარების მსვლელობა? თანდათან და ხანგრძლივის ბრძოლით უნდა მოიპოვონ მოქალაქობრივი ცხოვრება, თუ შეუძლიათ შეითვისონ, გადმონერგონ თავის ნიადაგზე მოქალაქობრივ ცხოვრების პრინციპები, რომელიც დაწინაურებულ ქვეყნებს შეუმუშავებიათ თავისთვის?

ამის პასუხს თვით ცხოვრება გვაძლევს. წარმოების წესები, რომელიც მოწინავე ქვეყნებმა შეიმუშავეს, საყოველთაო შეიქმნა მთელის კაცობრიობისთვის. ბურჟუაზიული მრეწველობა ყველგან ფეხს იკიდებს, ყველგან ირღვევა კარჩაკეტილობა. ამ გარემოებამ გამოიწვია კაცობრიობის გაერთიანება. ქვეყნიერების ყველა კუთხეები აღებ-მიცემობის და წარმოების ერთნაირი ხასიათით გადაებმნენ ერთმანეთს.

ამას შედეგად მოჰყვა საერთო, მოქალაქობრივ ცხოვრების განვითარებაც. ჩამორჩენილმა ქვეყნებმა, კარჩაკეტილობის მოსპობასთან ერთად, თავისი პოლიტიკური თავისებურობაც დაჰკარგეს. მოწინავე ქვეყნების პოლიტიკურ ფორმების შეთვისება მათთვის აუცილებელი შეიქმნა. ამნაირად ჩამორჩენილ ქვეყნების პოლიტიკური ევოლუცია სხვანაირია, ვიდრე მოწინავე ქვეყნებისა. ისინი დამოუკიდებლად და თან-დათან კი არ იმუშავებენ თავის ძველ ფორმებიდან ახალ წყობილების ფორმებს,—არამედ, პირიქით, ითვისებენ, იგუებენ იმ პოლიტიკურ ფორმებს, რომელიც მოწინავე ქვეყნებს შეუმუშავებიათ თავის ხანგრძლივ განვითარების პროცესში.

დღეს დედამიწაზე თითქმის აღარ მოიპოვება ისეთი სახელმწიფო, სადაც მართვა-გამგეობის საქმე ამა თუ იმ სახით ხალხის ხელში არ იყოს გადასული. ყველგან ხალხი თავის წარმომადგენლების შეწევნობით სახელმწიფოს განაგებს. ამ წარმომადგენელთა კრებულს ჩვეულებრივ პარლამენტს ვეძახით. პარლამენტის მდგომარეობა ყველგან ერთნაირი არ არის, ყველგან მას ერთნაირი ძალა არა აქვს მინიჭებული. ჩვენ აქ მოვიხსენიებთ მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, სადაც საზოგადო ცხოვრების უმაღლეს განვითარების მიხედვით პარლამენტის ძლიერებაც უმაღლეს წერტილამდე მიღწეულია.

ყველა ამნაირ სახელმწიფოში ვამჩნევთ ორ უმთავრეს ძალას: კანონმდებელს და აღმასრულებელს. მოქალაქობრივ განვითარების დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ აღმასრულებელი ძალა, ადმინისტრაცია, მუდმივ საჭიროებს კანონმდებლობის დახმარებას. საკანონმდებლო მოქმედების ერთ უმთავრეს და აუცილებელ საქმედ უნდა ჩავთვალოთ **გადასახადის** გაწერის უფლება. განათლებულ სახელმწიფოს გადასახადები მუდმივ იცვლება, და ასეც უნდა იყოს, თუ მთავრობას სურს თავისი მოვალეობა პირნათლად აასრულოს ყოველთვის.

მთავრობის ყოველი კანკარგულება სისრულეში თუ მოჰყავს ერთ რომელსამე ჯგუფს, ხოლო კანონების გამოცემა კი მეორე ჯგუფის ხელში თუ არის, მაშინ აუცილებლად ამ ორ ჯგუფს შორის გაჩნდება ბრძოლა. გადასახადის გამწესებელი უსათუოდ შეედავება ამ გადასახადების ამკრეფს და დამხარჯველს. აღმასრულებელი ძალა, შევიწროებული იქმნება იმით, რომ არ შეეძლება მისთვის სასურველ კანონის გამოცემა მოახერხოს. საკანონმდებლო ძალასაც მნიშვნელობა ეკარგება, თუ აღმასრულებელი ძალა მის კანონებს სავსებით არ მისდევს.

ამნაირად საჭიროა ორი ძალის შეთანხმებული მოქმედება. ეს შეთანხმება კი არის შესაძლო მხოლოდ მაშინ, როცა ერთი ძალა მეორეს ემორჩილება. მაგრამ, რომელ ძალას ეკუთვნის უპირატესობა, რომელ ძალის გაბატონება ეთანხმება მოქალაქობრივი ცხოვრების ევოლუციას?

წინანდელ აბსოლუტურ სახელმწიფოებში აღმასრულებელი ძალაა გაბატონებული. აქ არც კი [illegible] ლებელ ძალის თვითნებობას საზღვარი არა აქვს. მოქალაქობრივ ცხოვრების დამყარება ნიშნავს ამ თვითნებობის მოსპობას და კანონიერების გამეფებას სახელმწიფოში. კანონი ყველასთვის სავალდებულო ხდება. კანონის გამომცემი სახალხო წარმომადგენლობა თანდათან მეტ ძალას იძენს და საბოლოოდ სრულიად იმორჩილებს აღმასრულებელ ძალას. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოგვიდგენს ინგლისი.

აქ არ გამოვუდგებით იმის განხილვას, თუ როგორ შეიძინა კანონმდებელმა ძალამ პირველობა სახელმწიფოში. ამას ხანგრძლივი ბრძოლა დასჭირდა ყველგან. ჩვენ აქ აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, თუ როგორ არის მოწყობილი საქმე იქ, სადაც კანონმდებელი ძალა ბატონობს და განაგებს ქვეყანას.

აღმასრულებელი ძალა მოქმედობს სამინისტროს სახით. როგორ დგება სამინისტრო და რა დამოკიდებულება არსებობს მას და პარლამენტს შორის?

ინგლისში, ძველ დროს, მეფეს მინისტრის დანიშვნის უფლება ჰქონდა. მას შეეძლო მოეწვია ან გადაეყენებინა ეს თუ ის მინისტრი. დღესაც მინისტრის მოწვევა იქ მეფის უფლებად ითვლება, მაგრამ ეს უფლება მხოლოდ სახელით შერჩენილი აქვს. თითქმის ასეთსავე მდგომარეობაშია საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი. დიდი ხნის პრაქტიკამ აქ შეიმუშავა შემდეგი წესი.

1. მინისტრები უნდა იყვნენ იმ პარტიის წევრები, რომელიც პარლამენტში შეადგენს უმრავლესობას. ასეთის წესის საფუძველი ის არის, რომ მინისტრები პასუხისმგებელნი არიან პარლამენტის წინაშე. აქედან ცხადია იმის საჭიროება, რომ მინისტრები იყვნენ საკანონმდებლო კრებულის წევრებად. ამის გამო მინისტრის ადგილს ჩვეულებრივ იჭერენ უმრავლესობის მქონე პარტიის ხელმძღვანელები.

2. სამინისტრო, მინისტრთა კრებული, ანუ კაბინეტი უნდა წარმოადგენდეს ცალკე ერთეულს. მინისტრთა კრებული მოქმედებს კოლეგიალურად; მინისტრები ერთად თათბირობენ და მიიღებენ საერთო გადაწყვეტილებას ამა თუ იმ ზომების შესახებ. ამისთვის აუცილებლივ საჭიროა, რომ ერთი სამინისტროს წევრები ერთი მიმართულებისა იყვნენ, მაშინ მათი შეთანხმებული მოქმედებაც შესაძლო გახდება. ამ მიზნის მისაღწევად სახელმწიფოს მეთაური მოიწვევს ხოლმე ერთ პირს, ან უმრავლესობის წინამძღოლს, ან გამოჩენილ წევრს პარლამენტის უმრავლესობისას და მას მიანდობს დანარჩენ მინისტრების მოწვევას, ან მინისტრთა კაბინეტის შედგენას. ამ პირს ინგლისში ეძახიან პირველ მინისტრს, ხოლო საფრანგეთში მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტს. ეს პირია სამინისტროს მეთაური, მისი მოვალეობაა მინისტრთა შეთანხმებულ მოქმედების დამყარება. იგივეა, ჩვეულებრივ პარლამენტის წინაშე სამინისტროს სახელით პასუხის გამცემი.

3. მინისტრები საერთო პასუხის მგებელნი არიან პარლამენტის წინაშე, რომელიც თვალყურს ადევნებს მათ მოქმედებას და, საჭიროების მიხედვით, სხვადასხვა შემთხვევაში შეეკითხება რომელიმე საქმეზე. საქმე საერთო მოქმედებას თუ შეეხება, რომელშიაც მთელი სამინისტრო მონაწილეა, მაშინ პასუხს აგებს მთელი სამინისტრო. პირ-იქით, თუ საქმე შეეხება მხოლოდ ერთი რომელიმე მინისტრის მოქმედებას, მაშინ პასუხისმგებელია მხოლოდ ეს ერთი მინისტრი. თუ პარლამენტის უმრავლესობამ დაიწუნა სამინისტრო, ან კერძო მინისტრის მოქმედება და უნდობლობა გამოუცხადა, ამით პარლამენტი სამინისტროს ან მინისტრს სამსახურიდან აყენებს.

აქედან ჩვენ დავინახეთ, რომ საკანონმდებლო კრებული, პარლამენტი, სავსებით გაბატონებულია აღმასრულებელ ძალაზე,—აღმასრულებელი ძალა ყოველ თავის მოქმედებაში პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე და არც შეუძლია იმოქმედოს პარლამენტის უმრავლესობის წინააღმდეგ. ამ გარემოებას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს გამგებლობაში. აქ ხალხი, პარლამენტის საშუალებით, კანონმდებლობას და აღმასრულებელ ძალასაც ხელში იჭერს.

რუსეთის მომავალი სახელმწიფო სათათბიროს შესახებ დებულების მეოცდათოთხმეტე მუხლი გვეუბნება: „მინისტრები და ცალკე ნაწილების უმთავრესი გამგენი არ არიან სახელმწიფო საბჭოს წევრები, ხოლო იმათ შეუძლიათ დაესწრონ სათათბიროს კრებებს და მისცენ განმარტება, როგორც პირადათ, ისე თავის ამხანაგების, ან ცენტრალურ გამგებლობის უფროსების, მათ უახლოეს თანამშრომლების ან სხვა მინისტრების ან მთავარგამგეთა რწმუნებულ მოხელეების პირით“. მე-56 მუხლი: „თუ მინისტრი, ცალკე ნაწილის გამგე, ან სახელმწიფოს მდივანი დაეთანხმა სახელმწიფო სათათბიროს მოსაზრებას, რომ სასურველია არსებული კანონი [illegible] იგი ამ საქმეს მსვლელობას მისცემს საკანონმდებლო წესით“.

ეს ორი მუხლი ჩვენ გვიჩვენებს, რომ მომავალ სახელმწიფო სათათბიროში არ იქმნება ერთგვარი სამინისტრო, გარდა ამისა მინისტრები ინიშნებიან სახელმწიფო სათათბიროს გარეშე და არც პასუხის მგებელნი არიან მის წინაშე.

ცხადია, აღმასრულებელ ძალას მისი ახლანდელი მნიშვნელობა სავსებით რჩება. საკანონმდებლო კრებულის მნიშვნელობა მეტად მცირედია და არც ძალუძს მას, განზრახული სახით თუ იმოქმედებს, დაამყაროს მოქალაქობრივი ცხოვრება და ალაგმოს ბიუროკრატიის თვითნებობა, იმ ბიუროკრატიისა, რომელმაც მთელი სახელმწიფო საოცარ განსაცდელში ჩააგდო.

პ. სურგულაძე.

## დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

19 აგვისტო.

**სვინემიუნდე**, 19 აგვისტო. ინგლისის ესკადრა გუშინ, შუადღის შემდეგ, გავიდა ზღვაში, ესკადრამ სვინემიუნდესა და ნეიფარვასსერის შუა სტრატეგიული ადლუმი მოახდინა და ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ გაემგზავრა, სანახშირო გემები კი სამშობლოში დაბრუნდა.

**პარიზი**, 19 აგვისტო. პარიზში ამერიკანულ დამზღვევ საზოგადოების დირექტორმა ჰოდ ბოდრომ წინადადება მისცა პარიზის პრესსის სინდიკატს, ხელის მოწერა გამართონ და შეგროვილ ფულით პორტსმუტში აგონ რუზველტისთვის სასახლე რომელსაც უნდა წააწერონ „პრეზიდენტს რუზველტს მადლიერ კაცობრიობისაგან“. ბოდრომ ამ საქმეზე ათი ათასი ფრანკი გადასცა.

**ნიუ-იორკი**. 19 აგვისტო „სონი“ ურჩევს ინგლისს, რუსეთს შეუკავშირდეს და ნება მისცეს რუსეთს, სტამბული დაიჭიროს, რათა ზღვაში უფლება მოიპოვოს, ამით ფრთები შეეკვეცება გერმანიას, რომელსაც მცირე აზიაზე თვალი უჭირავსო.

**ტოკიო**, 19 აგვისტო. ზავი ჯერ კიდევ არ არის ოფიციალურად გამოცხადებული. ის გარემოება, რომ რუსეთი კონტრიბუციას არ გადაიხდის, ხალხს ძალიან აწუხებს. გაზეთებში მრავალი წერილი დაიბეჭდა სამგლოვიარო არშიით და სათაურით „დამამცირებელი ზავი“. ზოგიერთს გაზეთი კაბინეტის გადაყენებას თხოულობს. ამბობენ, ოქტომბერში პარლამენტს მოიწვევენო. შესდგა წრე, რომელიც ზავის წინააღმდეგია.

**პორტსმუტი**, 19 აგვისტო. ტაკახირამ უთხრა როზენს: მე და კომურამ დროებით ზავის ჩამოგდების შესახებ ინსტრუქციები მივიღეთ, რასაც დღევანდელ სხდომაზე განვაცხადებთო. მანჯურიაში გენერლებმა საჭირო განკარგულებანი უკვე მოახდინეს. ზავის ხელშეკრულობის ათი მუხლი უკვე მზად არის. ოქმი იქნება მზად 23 აგვისტოსთვის.

**შანხაი**, 18 აგვისტო. გუშინ ამოიში აჯანყებამ ისევ იჩინა თავი. ჩინელი ჯარის კაცნი იძულებულნი გახდნენ იარაღი ეხმარათ, მოკლულია შვიდი კაცი.

**ლონდონი**, 19 აგვისტო. გაზეთები არჩევენ ინგლის-იაპონიის ახალ ხელშეკრულობას, ბევრი იმ აზრისაა, რომ ეს ხელშეკრულობა პირველი ნაბიჯია მშვიდობიანობის მისაღწევადათ.

**ოისტერბეი**, 18 აგვისტო. ჰფიქრობენ, რუზველტს განზრახვა აქვს, წინადადება მისცეს სახელმწიფოებს, რომ მოწვეულ იქმნას მეორე სამშვიდობო კონფერენცია. წარსულს ზამთარს რუსეთი ამ წინადადებას წინააღუდგა.

**პორტსმუტი**, 18 აგვისტო. კომურა დასთანხმდა დროებით ზავის ჩამოგდების შესახებ, ტოკიოდან მიღებულ ინსტრუქციების მიხედვით. როზენმა ეს გარემოება ვიტტეს აცნობა. პარასკევს, ალბად, მოხდება კრება, რომელზედაც ომის მოსპობა საბოლოოდ გადაწყდება. პროფესსორ მარტენსმა ფაქტიურად უკვე დაამთავრა ხელშეკრულობის ტექსტის შედგენა.

**ტოკიო**, 19 აგვისტო. არავინ იცის, ვინ შეიმუშავა ხელშეკრულობის პირობათა შესრულების გეგმა—რწმუნებულთ თუ მთავრობამ. მთავრობას კონფერენციის შედეგი ოფიციალურად არ გამოუქვეყნებია. შესაძლებელია, რომ იაპონიის რწმუნებულნი, საქმის გათავების შემდეგ, თვითონ გამოაქვეყნებენ ამ ცნობას პორტსმუტში. კატცურასა და იტოს ზავის პირობების შესახებ მრავალი პროტესტი მოსდის. რადიკალურ გაზეთმა „ფორეც-შიმბუნ“-მა დაბეჭდა წერილი სათაურით „აღსდეგით ძმებო“, სადაც ის თხოულობს, რომ ხელშეკრულობა ხალხის წარმომადგენელებმა უნდა გადასინჯონ. გაზეთი ამბობს, ხალხი ვერ დამშვიდდება, რადგან მის ინტერესებს საფრთხე მოელისო და პორტსმუტში შეთანხმებას წინ უნდა აღუდგესო.

**პორტსმუტი**, 19 აგვისტო. ვიტტემ წინადადება მისცა კომურას, დანიშნოს ხელ-შეკრულობის ხელის მოწერის ვადა. ვიტტე 31 აგვისტოს რუსეთში წამოვა.

**გოძიადანი**, 19 აგვისტო. მარცხენა ფრთეზე 12-დან 17 აგვისტომდე რუსები ზვერავდნენ იაპონელთა პოზიციებს შიმიაოტციდან—იულანძამდე. 16 აგვისტოს სათპინგარის პოზიციის აღმოსავლეთის ნაწილი რუსების ერთმა რაზმმა დაიჭირა. შემდეგ იაპონელებმა მედგარი იერიში მიიტანეს მათზე და უკან დაახევინეს. ტყვედ წაყვანილ იქმნა რვა იაპონელი.

**ბერლინი**, 19 აგვისტო. პრუსიის სამხედრო მინისტრმა კორპუსის უფროსებს მისწერა, ყურადღება მიაქციეთ იმ გარემოებას, რომ აფიცრები ჯარის კაცთ ხშირად ცუდად ექცევიან. მინისტრი თხოულობს: ამის წინააღმდეგ სასტიკი ღონისძიებანი იქმნას მიღებულიო.

**ვენა**, 19 აგვისტო. „პოლიტიშე-კორ.“-ის ცნობა: ავსტრიის იმპერატორმა ზავის ჩამოგდების გამო შემდეგი დეპეშები გაგზავნა: მის უდიდებულესობას, იმპერატორ ნიკოლოზ II-ს. პეტერგოფი. „დიდის კმაყოფილებით მოვისმინე ზავის ჩამოგდების ამბავი, რომლის პირობებიც შენის იმპერიის პატიოსნებასა და ღირსებას ხელშეუხებლად სტოვებს. ნება მომეცი [illegible] სობას იაპონიის იმპერატორს. ტოკიო, „გთხოვთ, თქვენო უდიდებულესობავ, მიიღოთ ჩემი გულ-წრფელი მილოცვა ზავის ჩამოგდების შესახებ რომლის პირობებიც ზომიერების მშვენიერი მაგალითის გამომხატველია და იაპონიის პატიოსნებას შეეფერება“—პრეზიდენტს რუზველტს, ოისტერბეი. „ზავის ჩამოგდების გამო, მეგობრულად გილოცავთ, რადგან თქვენის მეოხებით საქმე სასურველად დამთავრდა“.

**ლონდონი**, 19 აგვისტო. „ტაიმსს“ „ნიუ-იორკ-ტაიმსიდან“ შემდეგი ადგილი მოჰყავს: ვიტტემ არამც თუ პირადი სიმპატია დაიმსახურა, არამედ მთელ ამერიკის საზოგადო აზრიც კი რუსეთის თანასაგრძნოდ გადახარა. ვიტტეს მეცადინეობით, წარსული დავიწყებას მისცეს. რუსეთთან მეგობრული განწყობილება კვლავ ახლდება.

**ლონდონი**, 19 აგვისტო. ლონდონიდან გრუმერის კურორტისაკენ მიმავალი მატარებელი მიტგემის სადგურთან ლიანდაგს გადასცდა, დაეჯახა სადგურის შენობებს და შეანგრია. ათი კაცი მოკვდა, ოცი დაშავდა.

**პეტერბურგი**, 19 აგვისტო. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცირკულიარი დაუგზავნა გუბერნატორებს, რომ ცეროსპრონსპინალურ მენენგიტის წინააღმდეგ საბრძოლველად შემდეგი ზომები მიიღონ: 1) დაუყოვნებლივ გააუმჯობესონ მუშათა სადგომები, პანსიონები და სასკოლო შენობები, 2) ის შენობები, სადაც ავათმყოფები იმყოფებიან, გადამდებ გავლენისაგან უზრუნველ ჰყონ, 3) კერძო პირთა და ექიმთა სურვილისამებრ ბაქტერიოლოგიურად გამოკვლეულ იქმნეს ნერწყვი და ცინგლი. 4) ავადმყოფები გაარიდონ და ცალკე იყოლიონ, 5) სადაც ეს სენი იჩენს თავს, იმ სახლში მცხოვრებთ თვალყური ადევნონ.

**ტოკიო**, 19 აგვისტო. ზავის ჩამოგდებამ იაპონიაში სიხარული არ გამოიწვია. მთავრობას საზავო პირობები არ გამოუმჟღავნებია. ამის გამო იაპონელები ფიქრობენ, რომ მთავრობას ბევრი რამ დაუთმია. „ჯიჯი-ნიმპო“ სწერს: ზავის ჩამოგდება მხოლოდ მაშინ გახდებოდა შესაძლებელი, როდესაც ჩვენი რწმუნებულნი ბევრში დაუთმობდნენო. ასეთ პირობებით შეკრული ზავი ხალხს ვერ დააკმაყოფილებსო. „მაინიჩი“ მეტად აღშფოთებულია და სწერს: იმედი გაგვიცრუეს. გვიმედოვნებდით, რომ ასეთ პირობებით ზავის შეკვრა არ მოხდებოდა. ჩვენის გამარჯვების ნაყოფი ჩვენმა სუსტმა დიპლომატიამ წყალს მისცა. ბრძოლის ველზე გამარჯვებული იაპონია, სამშვიდობო კონფერენციის დარბაზში დამარცხდა. „ნიჩი-ნიჩი-შიმბუნი“ განცვიფრებულია, რომ ზავი ჩამოვარდა მაშინ, როდესაც ყველა დარწმუნებული იყო—რუსეთი იაპონიის სასიცოცხლო და აუცილებელ მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებდა. სანამ ოფიციალური ცნობები არ გამომჟღავნდება, სინამდვილის შეტყობა ძნელია. თუმცა ნიშან-წყალიც არ მოსჩანს იმისი, რომ ზავი ხელსაყრელ პირობებით შეიკრა, წვრილფეხა ჟურნალ-გაზეთობა მეტად უკმაყოფილოა და ზავი დამამცირებლად მიაჩნია. ყველა რედაქტორებმა, გაზ. „კოკუმინის“ გარდა, დაადგინეს: რაწამს ზავის პირობები გამოცხადდება ყველა რედაქციებმა ბაირაღები ჩამოუშვან.

**პეტერბურგი**, 19 აგვისტო. გრაფ სოლსკის თავმჯდომარეობით, უმაღლესად დაარსებული საბჭო, რომელმაც შინაგან საქმეთა მინისტრის-მიერ სახელმწიფო სათათბიროს შესახებ დამატებითი მუხლები [illegible] 19 აგვისტოს უკვე შეუდგა საქმეს. საბჭო სახელმწიფო სათათბიროში არჩევნების საკითხს განიხილავს. როდესაც საბჭო განაპირა ქვეყნების საარჩევნო წესებს შეეხება, შინაგან საქმეთა მინისტრი პროექტს შეიტანს, რომ სახელმწიფო სათათბიროში პოლონეთიდანაც იყვნენ არჩეული წარმომადგენელნი.

**ნიუ-იორკი**, 19 აგვისტ. „ივნინგ-პოსტის“ სიტყვით, რუსეთის-მიერ მანჯურიის მიტოვება ხელშეკრულობაში არ შეიტანება. „ნიუ-იორკ-ჰერალდი“-ს სიტყვით, ხელშეკრულობა 6 სექტემბრისთვის მზად იქნება. ხელშეკრულობის დადების შემდეგ, რუზველტი ხელმეორედ მიჰმართავს, რომ გააგის სამშვიდობო კონფერენციაც იქმნეს მოწვეული, რათა განიხილოს ზოგი ერთა, ამ ომთან დაკავშირებული, საკითხები: უმავთულო ტელეგრაფის ხმარებისა, წყალ-ქვეშ მავალ გემების დანიშნულებისა, ნაღმისა, სავაჭრო და საზღვაო გზებისა, მეომარ სახელმწიფოთა სანეიტრალო ნავთ-სადგურების მხმარების უფლებისა, ნეიტრალ სახელმწიფოთა უფლებისა და იმ პორტების შესახებ, რომლითაც მეომარი სარგებლობენ.

ხელშეკრულობაზე ხელი მოსაწერად ასახელებენ ვაშინგტონს, ოისტერბეის პორტსმუტსა და საგამორგილს.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4-ე გვერდზე).

## რეფორმები რუსეთში

„ნოვ. ვრემ.“-ის ფელეტონისტი მენშიკოვი სწერს: „სახელმწიფო სათათბიროს დებულების დეპეშა საზღვარ-გარეთ წავიკითხეთ. გერმანელები და ინგლისელები [illegible]ულობდნენ ამ დეპეშებს, მე კი ყურს ვუგდებდი და მრცხვენოდა: ირონიულად იცინოდნენ, მხრებს იშმუშვნიდნენ და ტუჩებს პრუწავდნენ. ამ **რეფორმას თითქმის ზიზღით იხსენებდნენ.** თავისუფლებას მიჩვეულ ევროპიელებს სცხვენიათ, რომ მეზობლად რუსეთი ჰყავთ. რუსეთის რეფორმებს ისეთივე სიცილითა და ირონიით უყურებენ, როგორც დედაქალაქში ჩამოსულ სოფლელ გომბიოს, რომელსაც შინაური ტანისამოსი აცვია და ქალაქელების გაკვირვება უნდა. ინგლისისა და გერმანიის პრესსამ გადასინჯ-გადმოსინჯეს რუსეთის „კონსტიტუცია“ და წაიბურტყუნეს: „ჰმ... კი, მაგრამ განა რუსეთი მეტის ღირსია“ (ნ. ვ.).

◆ 17 აგვისტოს მოსკოვის ქალაქის საბჭოს კრება ჰქონდა სათათბიროში დეპუტატების არჩევის შესახებ. კრებას ხმოსანთა უმეტესობა დაესწრო. ცხადზე უცხადესია, რომ მოსკოვის 4 დეპუტატი სულ **პროგრესისტები არიან** (ნ. ვ.).

◆ „ნოვოე ვრემიის“ სიტყვით, სახელმწიფო სათათბიროში პეტერბურგიდან **კანდიდატად**, სხვათა შორის, **ეპისკოპოს ანტონისაც ასახელებენ.** ეს ის ეპისკოპოსია, რომელიც კობეკოს კომისიაში იღებდა მონაწილეობას და რომელმაც ცენზურის სრული გაუქმება მოითხოვა (ს. ო.).

◆ ამბობენ, **სათათბიროს კრებები** მოხდება სათავად-აზნაურო დარბაზში, რომელიც 800 კაცს იტევსო (ს. ო.).

◆ ვილნოში **ამომრჩეველთა რიცხვი**, რომელთაც სათათბიროს არჩევნებში კენჭი ეძლევათ, 2017 კაცს შეადგენს.

◆ ცნობილი [illegible] ლევსკი, რომელიც ძალა-უნებურად პარიზში ცხოვრობს, სახელმწიფო სათათბიროში **დეპუტატის კანდიდატობას კისრულობს** (რ. ს.).

◆ რიგაში, სადაც 250,000 მცხოვრებია, სულ 1,023 კაცს აქვს სათათბიროს **არჩევნების კენჭი** ეკატერინოსლავში კენჭი 1709 კაცს ეძლევა. (რ. ს.).

◆ „რუს“-ი იუწყება: პეტერბურგის გუბერნიაში უკვე **ადგენენ პოლიტიკურ პარტიებს.** ყველაზე ძლიერი პარტიები არიან კონსერვატორები, ზომიერი ლიბერალები და ლიბერალები. გარდა ამისა რამდენიმე წვრილი პარტიაც არის, მაგრამ ამათ არავითარი მნიშვნელობა აქ არა აქვთ. ახლავე სჩანს, რომ დეპუტატად უფრო გაბედულსა და ოპოზიციონისტს აირჩევენ (ნ. ქ.).

◆ მოსკოვის გუბერნატორმა სამაზრო და საგუბერნიო ერობებს შეუთვალა, საჩქაროდ მოამზადეთ იმათი სია, ვისაც **კენჭი ეძლევა სათათბიროშიო** (ნ. ქ.).

◆ გრაფ სოლსკის კომისიას 16 აგვისტოს კრება ჰქონდა. კრება, სხვათაშორის, შეეხო **საარჩევნო აგიტაციას** (რ.).

◆ სამინისტროს კომისიამ უკვე შეადგინა **პროექტი საშუალო სასწავლებლის რეფორმისა.** ამ პროექტის აზრით, საშუალო სასწავლებლები დაიყოფებიან სამ ჯგუფად: 1) კლასიკური გიმნაზიები, 2) კლასიკურ-რეალური გიმნაზიები და 3) რეალური გიმნაზიები. პირველ გიმნაზებში ორი ძველი ენა ისევ დარჩება, მეორეში მარტო ლათინური იქნება, მესამეში კი ძველ ენები სულ გაუქმებული იქნება (რ. ვ.).

## დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

**პეტერბურგი**, 19 აგვისტო. „სლოვო“ ნამდვილ წყაროებიდან იუწყება: ვიტტეს, ზავის შესახებ მოლაპარაკების გარდა, დავალებული ჰქონდა ამერიკაში ფული ესესხნა. ეს დავალება ვიტტემ მარჯვედ შეასრულა. ჩვენ შეგვიძლიან ავიღოთ სესხი 500 მილიონი 3%-თ.

ყველა საშუალებაა მიღებული, რომ განაპირა ქვეყნებში არჩევნების წესები საგანგებო კომისიამ ერთის თვის განმავლობაში შეიმუშაოს. მარტო პოლონეთს 15 წარმომადგენელი ეყოლება.

კრებების უფლების შესახებ კანონ-პროექტით, სხვათა შორის, ორატორებს ეკრძალებათ: სახელმწიფო წესწყობილების ძირითადი კანონებისა და მთავრობის ამა თუ იმ ორგანოთა გაკიცხვა, ეკრძალებათ აგრეთვე მსჯელობა იქონიონ ადამიანის კერძო ცხოვრებაზე, რაც კი მის პატიოსნებასა და სახელს შელახავს. სარევოლუციო მოძრაობის განხილვა მხოლოდ აკადემიურად შეიძლება. თუ ეს მუხლები დარღვეულ იქმნება, პოლიციელი კრებას დახურავს და ხალხს დარბაზიდან გაიყვანს.

„სლოვო“ იუწყება, ამ მოკლე ხანში მიწის მომწესრიგებელი მთავარი სამმართველო სასოფლო-სამეურნეო საბჭოს გადაკეთებას შეუდგებაო.

შინაგან საქმეთა მინისტრის ადგილზე, სხვათა შორის, ასახელებენ თავ. ვიაზემსკის.

[illegible] მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რომ ბაქოს გუბერნიაში, ნავთის საქმეში ზოგიერთა ბოროტ-მოქმედების შესახებ, სასტიკი გამოძიება დაინიშნოს. საგანგებო ყურადღება მიქცეული აქვს რომანინის ტბის ექსპლოატაციის საქმეს.

**პეტერბურგი**, 10 აგვისტო. გრაფ სოლსკის რჩევამ 10 აგვისტოს სხდომაზე არჩევნების წესრიგი შეიმუშავა.

„ნოვოე ვრემია“ იუწყება, რომ საგლეხო ბანკი თავის მოქმედებას გააფართოვებსო. ბანკის ძირითადი პრინციპია—დახმარება ისეთ გლეხკაცებისა, რომლებსაც ძალიან ცოტა მამული აქვთ.

„რუს“-ი გადმოგვცემს, რომ საუნივერსიტეტო ახალ წესდების პროექტი, სახელმწიფო სათათბიროში შეტანამდე, გამოქვეყნებული იქმნება, რათა უმაღლეს სასწავლებლებში მეცადინეობამ ნორმალური მიმდინარეობა მიიღოს.

„ნაშა ჟიზნი“-ი რუსების ტყვეების შენახვის ღირებულებას ანგარიშობს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ მათი შენახვა იაპონიას სულ ოცი მილიონი მანათი დაუჯდებოდა. მაგრამ, რადგანაც ტყვეების შესანახში რუსეთი 140 მილიონ მანათს იხდის, აქედან 120 მილიონი იაპონიის სასარგებლოდ რჩება.

**ქუთაისი**, 20 აგვისტო. მოსწავლეებმა შესცვალეს გუშინდელი დადგენილება და გადასწყვიტეს: ეგზამენები დაიჭირონ და ენკენისთვიდან სწავლა განაახლონ.—მესაათეთა შეგირდების გაფიცვა გათავდა. საქმის სამედიატორო სამართლით გადაწყვეტის შემდეგ, შეგირდები მუშაობას შეუდგნენ.

## ახალი ამბავი

◆ პარასკევს, 19 აგვისტოს, ქალაქის **სამღვდელოების კრებამ... დაადგინა**: სამოსწავლო გეგმის შემუშავება დაევალოს კომისიას, რომელშიაც არჩეულ იქმნენ მღვდლები ი. ჯაში, თათარაიშვილი და სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელი გორგაძე...

◆ რადგანაც ზოგიერთ სოფლებში **ხალხმა კანცელარიებში სხვა ქაღალდებთან ერთად გასაწვევ ჯარის-კაცთა სიებიც დასწვა**, წელს ტფ. მაზრის სოფლებში კენჭის ყრაზე დასასწრებლად იგზავნება ტფ. საგუბერნიო სამხედრო საკრებულოს გამგე.

◆ ტფილისის დრ. გენერალ-გუბერნატორმა ნება დართო ქალაქის საბჭოში 22 **აგვისტოს კრება გამართონ საერობო დაწესებულების** ინსტრუქციის განსახილველად და რწმუნებულის ასარჩევად.

◆ პარასკევს, 19 აგვისტოს, მუშტაიდის ბაღში მძიმედ **დასჭრეს ბებუთით** ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოსამსახურე **გ. თამამშევი**, იმ დროს, როცა იგი თავისს მეუღლესთან ერთად ბაღში სკამზე იჯდა.

◆ გუშინ, 20 აგვისტოს, რკინის გზის სახელოსნოებთან **მოჰკლეს უფროსი მუშა ცეპკინი.** მკვლელი ვერ შეიპყრეს.

◆ ჯევანშირის მაზრაში (განჯის გუბერნია) ამას წინად გზატკეცილზე **მოუკლავთ სტრაჟნიკი** ალ. არზუმანოვი. მოკლულისთვის აუცლიათ თოფი და პატრონები. მკვლელები ვერ აღმოუჩენიათ.

◆ შუშაში მშვიდობიანობის აღსადგენად გაგზავნილ **ჯარების უფროსად დაინიშნა გენერალი თაყაიშვილი.**

# ფელეტონი

## ეროვნება და მშრომელი ხალხი

ჩვენს დროს სამართლიანად უწოდებენ ფრაზეოლოგიის ხანას. ბევრს საკმარისად მიაჩნია რამდენიმე ფორმულის გაზეპირება, რომ მრავალფეროვანი სინამდვილე ყოველ მხრივ სამუდამოდ გარკვეულ და შეგნებულ იქმნას. მათთვის არ არსებობს არც ერთი ისეთი რთული პრობლემა, რომლის გადაწყვეტა ერთხელ შეთვისებულ ფორმულებით არ შეიძლებოდეს. ფრაზების მოყვარულთა, არა-კრიტიკულად მოაზრე, გონება კმაყოფილდება აზრთა, პირველის შეხედვით, ვითომდა წარმტაცის სისტემითა და მთლიანობით. თუმცა ასეთი შეგნება მსოფლიოს მრავალგვარობისა ზერეული და, ვითარცა ამნაირი, არა-მეცნიერულია, მაგრამ ჩვენს დროში მას მაინც ბევრი მოტრფიალე ჰყავს.

ჩვენი გარდამავალი ხანის ამ უარყოფითი თვისებით გატაცებაში ყველას გაასწრო, ეგრედ წოდებულმა, ორთოდოქსალ (მართლმორწმუნე) მარქსიზმმა, რომელიც ფრაზეოლოგიასთან ერთად შეპყრობილია ერთ კიდევ უფრო ცუდის სენით, სახელდობრ, ორთოდოქსიით: რაც მარქსისტულ დოგმას არ ეთანხმება, რაც კრიტიკულ გონების ნაყოფს წარმოადგენს, ის უთუოდ ხალხის თვითშეგნების დასაბნელებლადაა გამოგონილი, ის უთუოდ „ბურჟუაზიულია“ და, როგორც ამნაირი, რეაქციონურია. ასეთი უცნაური არგუმენტაცია შეადგენს მთავარ დამახასიათებელ თვისებას მარქსისტულ ორთოდოქსიისას. საკმარისია წარმოითქვას მრავალტანჯული სიტყვა «ბურჟუაზიული» და მოპირდაპირის შეხედულება ორთოდოქსალ მოწაფეთა-მიერ დარღვეულად იქნება მიჩნეული. სერიოზულ არგუმენტაციის მაგივრად ასეთი ორთოდოქსები მოჰყვებიან ხოლმე ფრაზების რახა-რუხს და სუბიექტურ მოტივთა კვლევა-ძიებას (ამ მხრივ ისინი შეუდარებელნი არიან). ასეთი წესი, არა-თანამოაზრეთა შეხედულების დარღვევისა, ცოტათი დამოუკიდებლად მოაზრე მკითხველს მხოლოდ ღიმილს მოჰგვრის და იქნება აღძრას მასში გრძნობა სიბრალულისა იმ პირთა მიმართ, რომელნიც ასეთ დაბრმავებაში ერთადერთ ხსნას ხედავენ.

სამწუხაროდ, თავისუფალ ადამიანის ღირსების ამ დამამცირებელ თვისებას ჩვენში დღესაც მაგრად აქვს ფესვი გადგმული. სამწუხაროა ეს მოვლენა, რადგან დოგმა, როგორც სამართლიანად შენიშნავს გ. ფოლმარი, კლერიკალურ-პოლიციურია ის, თუ დემოკრატიული, ერთნაირად საზიზღარი არის და უნდა იყოს კიდეც. ეს თვისება არა თუ არა-სიმპატიურია, არამედ მავნეც და გონების დამაჩლუნგებელია. დოგმატიზმი, რა სახისაც უნდა იყოს იგი, ერთ წერტილზე აჩერებს ადამიანის აზროვნებას და მით, რა თქმა უნდა, აფერხებს ცოდნის წინმსვლელობის პროცესს. ეჭვი და კრიტიკა, ეს უდიდესი და დაუფასებელი ფაქტორი გონებრივ წარმატებისა, მას ბოროტ ძალის ნაყოფად მიაჩნია და ამიტომაც ორთოდოქსია უფრთხის და სდევნის ახალ აზრს და კრიტიკულ კვლევას. ასეთია ყოველგვარი ორთოდოქსია და, სხვათა შორის, მარქსისტული ორთოდოქსიაც.

თუმცა მარქსიზმი, როგორც ერთი მთლიანი იდეური მიმართულება, უკვე წარსულს ეკუთვნის და არა ჩვენს დროს, თუმცა იგი ყველა დამოუკიდებელ მკვლევართა აზრით და დამტკიცებით ბევრის მხრივ სუსტი და ცხოვრების განვითარების ფაქტებთან შეუთანხმებელია, მაგრამ ორთოდოქსალ მარქსიზმს ქართველ ინტელიგენციის არა მცირეოდენ ჯგუფში მაინც ფანატიკური მომხრეები ჰყავს. ქართველ „მოწაფეებს“ ჯერაც არ მოხვედრია განმათავისუფლებელი ნიავი კრიტიკისა და ისინი ისევ ძველებურად სარწმუნოებრივის სასოებით შესცქერიან დოგმატიურ მარქსიზმს *). და სწორედ ამ ფაქტში, ე. ი. ორთოდოქსალ მარქსიზმით დაბრმავებაში უნდა ვეძიოთ მიზეზი ჩვენი მოკამათის სრულ გაუგებრობისა.

ბ-ნი მახარაძე ეკუთვნის იმ გულუბრყვილოთა რიცხვს, რომელთაც ორიოდე ფორმულით ყველაფრის ახსნა სურთ და, თუ მათ მიერ გაზეპირებულ შაბლონებს უარისყოფით შეხვდით, მაშინ უნდა უფრთხილდეთ მათ სექტანტურ ფანატიზმს,—აზრთა გაცვლა-გამოცვლის მაგივრად, გაცხარებით შემოგძახებენ: „რა უფლებით, რა ზნეობრივი უფლების ძალით, გველაპარაკებით მშრომელ ხალხზე და მის ინტერესებზე, რათ აშკარად, პირდაპირ არ ამბობთ, ვისი მოსამსახურე და მონა-მორჩილი ბრძანდებით. მაშინ თქვენი საქციელი უფრო პატიოსანი იქნებოდა“. ქართველ დოქტრინერთა ფანატიზმი და გონებრივი სივიწროვე ისე შორს მიდის, რომ მათ ვერც კი წარმოუდგენიათ გულწრფელ და პატიოსან არათანამოაზრეთა არსებობა და ყველაფერს, რაც კი ორთოდოქსიას ეწინააღმდეგება, „ბურჟუაზიის“ სამსახურის სურვილს აწერენ (რა ეშველებოდათ მათ, რომ ეს გაცვეთილი სიტყვა არ არსებობდეს, ისინი ხომ ერთი სტრიქონის დაწერასაც ვერ ახერხებენ ისე, თუ ეს სიტყვა არ იხმარეს!) ასეთი ყოვლად უსაფუძვლო და უადგილო იჭვიანობა ნიშნობლივი თვისებაა ყოველ ორთოდოქსიისა, და ჰკუა დამჯდარ მკითხველთათვის ასეთ ორიგინალურ არგუმენტაციას არც არავითარი მნიშვნელობა აქვს, იმ უბრალო მოსაზრების გამო, რომ ვინც ასე ადვილად სხვის გულში ძვრება და „გამოძიებას“ ახდენს, მით მის მსჯავრსაც ყოველივე ფასი ეკარგება და ასეთი „სისკ“-ით მხოლოდ თავის თავს იმცირებს. და ჩვენც ასეთ წესს აზრთა შეტაკებისას გულგრილად ვუცქერით და შეგვიძლია მხოლოდ გულწრფელად ვისურვეთ, რომ ასეთი სამარცხვინო იჭვიანობა მალე საუკუნო დავიწყებას მიეცეს, ვინაიდან გულში ხელის ფათურსა და სუბიექტურ მოტივთა ძიებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს იქ, სადაც პრინციპიალურ საკითხებზე სჯა-ბაასი და სადაც, მაშასადამე, სერიოზული არგუმენტაციაა საჭირო და არა მორალური „სისკ“-ი.

ჩვენ ვთქვით, რომ მართლმორწმუნე მარქსიზმით დაბრმავებაში სძევს მიზეზი ბ-ნ მახარაძის გაუგებრობისა, და აი რატომ:

როგორც ცნობილია, მარქსის მოძღვრების შემადგენელ მთავარ მუხლად ითვლება კლასთა ბრძოლის თეორია, რომლის მთავარი დებულება გამოთქმულია უკვე, მარქს-ენგელსის-მიერ შედგენილ, ცნობილ „კომმუნისტურ მანიფესტში“, რომელიც იწყება ამ სიტყვებით: „ისტორია ყველა აქამდე არსებულ საზოგადოებათა არის ისტორია კლასთა ბრძოლისა“. ამ დებულების სრული უკიდურესობა პირველი შეხედვით ცხადი იყო, რადგან ისტორიამ იცის კაცობრიობის წარსულში ისეთი ისტორიული ფორმაციის არსებობა, რომელშიაც საზოგადოების სოციალურ დიფფერენციაციას ადგილი არა ჰქონია და, მაშასადამე, არც საზოგადოებრივი კლასნი არსებობდნენ. ასეთ ხანაში კლასთა ბრძოლაზე ლაპარაკი ყველასათვის თვალსაჩინო შეცდომა იქნებოდა და ამიტომ ენგელსი იძულებული გახდა კლასთა ბრძოლის თეორია ცოტათი შეესწორებინა. მისი რედაქციით, ყველა არსებულ საზოგადოებათა ისტორია არის ისტორია კლასთა ბრძოლისა, პირველყოფილ კომუნიზმის გამოკლებით. მაგრამ ამ განმარტებას პრინციპიალური ცვლილება მაინც არ მოუხდენია: კლასთა ბრძოლა აღიარებულ იქმნა ერთადერთ მნიშვნელოვან ფაქტორად, რომლის გარშემო მთელი კაცობრიობის ისტორია უნდა ტრიალებდეს.

თანამედროვე მოქალაქეობრივ საზოგადოებაში, მარქსიზმის თანახმად, კლასთა ბრძოლა ღებულობს დაახლოვებით ასეთ ფორმას: კაპიტალისტურ წარმოებაზე დამყარებული საზოგადოება დაყოფილია ორ დიდ მოწინააღმდეგე სოციალურ ჯგუფად: ბურჟუაზია და პროლეტარიატი. აი, ამ ორს კლასს შორის არსებობს საშინელი ანტაგონიზმი. ინტერესთა წინააღმდეგობა კი ისეთი ხასიათისაა, რომ კლასთა შეთანხმებული მოქმედება სრულიად წარმოუდგენელია, მათ შორის მუდმივი გამწვავებული ბრძოლაა გამართული და საერთო ინტერესებზე ლაპარაკი შეუძლია მხოლოდ ავადმყოფ ფანტაზიის პატრონს. ბურჟუაზია თავის ბატონობას ამყარებს კერძო საკუთრებაზე და ენერგიულადაც იცავს ამ ინსტიტუტს, პროლეტარიატი კი მომავლის იმედით ცხოვრობს. არსებული მას მხოლოდ სძაგს, მისი ხსნა მხოლოდ „მომავალ სახელმწიფოშია“. პროლეტარიატი არღვევს და ანგრევს იმას, რაც ბურჟუაზიისათვის წმიდათა-წმიდას შეადგენს, და განა წარმოსადგენია საერთო ინტერესთა არსებობა, განა შესაძლებელია რევოლუციონურ პროლეტარიატისა და თავისი სოციალური მდგომარეობით კონსერვატიულ ბურჟუაზიის ჰარმონიული მოქმედება? კლასთა შორის მხოლოდ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა გამართული, და ვინც საერთო ნიადაგზე ლაპარაკობს, ის პროლეტარიატის მტერია, ის, განზრახ თუ შეუგნებლად, კლასობრივ თვითცნობიერების დაბნელების მომხრეა.

ასეთია, მოკლედ, მარქს-ენგელსის თეორია კლასთა ბრძოლისა. ამ თეორიის წინააღმდეგ შეგვეძლო მრავალი საბუთი მოგვეყვანა და დაგვემტკიცებინა, რომ კაცობრიობის ისტორია არ არის ისტორია მხოლოდ კლასთა შეტაკებისა, რომ სხვა არა ნაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორებიც არსებობს, რომ, საზოგადოდ, კაცობრიობის ისტორიის ერთი ფორმულით ახსნა აუსრულებელი ამოცანაა. მაგრამ ამ ჟამად დასახელებული დოქტრინა გვაინტერესებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის უარ-ჰყოფს კლასთა შორის არსებულ საერთო ნაციონალურ ინტერესებს და მხოლოდ ამ მხრივ გვსურს შევეხოთ მას.

კლასთა ბრძოლის თეორია უარჰყოფს საერთო, ეროვნულ ინტერესთა არსებობას. პროლეტარიატს არ აქვს სამშობლო, მისი მოძრაობა ინტერნაციონალურია, ამბობს მარქსი და იმეორებენ მართლმორწმუნე მოწაფენი. მართალია ეს?

მეცხრამეტე საუკუნის ერთ უდიდეს პიროვნებას და, რასაკვირველია, მით უფრო მის ორთოდოქს მოწაფეებს ავიწყდებათ ერთი უბრალო ფაქტი, სახელდობრ ეროვნულ გრძნობის და ეროვნულ თვითცნობიერების არსებობა. განსაზღვრულ ერის სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს აერთებს საერთო, ნაციონალური გრძნობა. „ერთნაირი გონებრივი ცხოვრება, როგორც ეს ყველაზე უფრო ენაში იხატება, ერთნაირი ისტორიული ცხოვრება, ერთნაირი პატივისცემა გმირთა და ხალხის მოძღვართა მიმართ, როგორც ბრძოლაში და გამარჯვებაში, ისე მშვიდობიან შრომაში, ყველა ეს ჰქმნის ხალხის შვილთა ერთნაირ გრძნობას, აზროვნებას და რწმენას“, სამართლიანათ შენიშნავს ფრ. პაულსენი (იხ. მისი „ეთიკის სისტემა“ ტ. II. 1903 გვ. 193).

საერთო ეროვნულ გრძნობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული საერთო ეროვნული ინტერესები. ერის სხვადასხვა ჯგუფებს აქვთ საერთო ენა, საერთო ტერრიტორია, საერთო საგარეო მეურნეობითი ინტერესები და სხვა. და როდესაც ამ შემაერთებელ ძალებს რაიმე ხიფათი მოელის, როდესაც, მაგ., გარეშე მტერი ტერრიტორიის წართმევას ცდილობს, ან სამშობლო ენას ავიწროებს, ცხადია ამ შემთხვევაში იბაგრება საერთო ეროვნული და არა კლასთა ინტერესები. სამშობლოს სიყვარული არ შეადგენს ერთ რომელისამე კლასის მონოპოლიას, ის არის საერთო გრძნობა და, როგორც ასეთი, სდგას კლასობრივ პსიხოლოგიაზე მაღლა. რა იდეალების მომხრეც უნდა იყოს განსაზღვრული სოციალური კლასი, რა გამწვავებული ფორმაც უნდა ჰქონდეს მიღებული კლასობრივ განხეთქილებას, საერთო ეროვნული ინტერესები მაინც რეალური ფაქტია, რომლის უარისყოფა მხოლოდ ძალად დაბრმავების მომასწავებელია. ეს საერთო ნიადაგი ადვილად დასანახია განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ერს გარეშე მტრისაგან განსაცდელი მოელის და როდესაც მთელი ერი ერთდება ეროვნულ ინდივიდუალობის დასაცავად. ასეთი მომენტი იწვევს ეროვნულ ენტუზიაზმს და ეროვნულ ძალთა გაერთიანებას. ასეთ დროს კლასობრივი წინააღმდეგობა ჰკარგავს გამწვავებულ ფორმას, ის დროებით ჰქრება და ერი მთელი თავის ძალღონით საერთო მტრის წინააღმდეგ მიდის იერიშით.

რომ ასეთი საერთო ნიადაგი რეალური ფაქტია და არა მოცლილ ფანტაზიის ნაყოფი, ამას ემპლისიტე სცნობს ორთოდოქსი ბებელიც, რომელსაც რეიხსტაგში რამდენჯერმე განუცხადებია: თუ გერმანიის ტერრიტორიის წართმევა ვინმემ

---

*) როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ მარქსიზმმა სამუდამოდ დიჰკარგა ის მაგიური გავლენა, რომელიც მას ჰქონდა ამ ათიოდე წლის წინად, სახეში გვაქვს მეცნიერება და არა სააგიტაციო პამფლეტები, რომელთაც ობიექტიურ მეცნიერებასთან საერთო არ აქვთ-რა. მოუდრეკელი დოქტრინარიზმით გამსჭვალულ იმ ჯურის ორთოდოქსებზე, რომელთა ტიპიურ წარმომადგენლად ბ-ნი ბელტოვი ითვლება, ირონიულად შენიშნავს პროფ. ვერნერ ზომბარტი: „...მათ ნაწერებში ძველი მოძღვრება ერთხელ კიდევ დღესასწაულობს აღდგომას და ამას ხელს უწყობს ის რწმენით სავსე გაცხარება, რომლითაც ახალგაზდა სლავიანთა ერი თავის იდეალების დაცვას ცდილობს“.

◆ 15 აგვისტოს სიღნაღის მაზრის, ს. გურჯაანში **სტრაჟნიკებს ჩხუბი აუტეხნიათ სოფლელებთან** და მოუკლავთ ილია ჩუგოშვილი, ხოლო ძმა მისი მიხა მძიმედ დაუჭრიათ.

◆ როგორც გავიგეთ, გორისა და დუშეთის მაზრებში ნამესტნიკის მიერ გაგზავნილი **თავ. ი. გ. ამილახორი ფილტვების ანთებით ავად გამხდარა.** (კავკ.)

◆ ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსმა შუამდგომლობა აღძრა მთავარ-გამგეობის წინაშე, **მომატებულ იქმნეს შტატები** მისდამი რწმუნებულ უწყებაში.

◆ სამხედრო ციხის ექიმად **დაინიშნა ექიმი ე. ვაშაკიძე.**

◆ გუშინ, 20 აგვისტოს, **საქართველოს ეგზარხოსი მარტყოფში გაემგზავრა.**

◆ კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწემ სულთან-კრიმ-გირეიმ ნება დართო, **მიეცეს ექსტრაორდინარის თანხიდან 200 მანათი** უბნის ზედამხედველს ნ. ჩიკოიძეს, რომელიც ყუმბარით დაიჭრა. ამას გარდა ჩიკოიძეს მიეცა ორის თვით თავისუფლება ჯამაგირის შენახვით.

◆ სოხუმის ადმინისტრაციას, „ჩერ. ვესტ.“ სიტყვით, **სამართალში მიუცია ადგილობრივი მცხოვრებნი, რიცხვით 20 კაცი,** რომელთაც ამას წინად, როგორც ჩვენმა მკითხველებმაც იციან, სოხუმში ქურდები სახალხოდ გაასამართლეს. სამართალში მიცემულთა რიცხვში ზოგი საზოგადო მოღვაწეც ურევია თურმე.

## კავკასიის ნამესტნიკის კანცელიარიის ცირკულიარი.

ამიერ-კავკასიის გუბერნიებისა და ოლქების უფროსთა მიმართ.

კავკასიის ნამესტნიკმა, მიაქცია რა ყურადღება იმ გარემოებას, რომ ხშირად მამულის პატრონთ უგვიანებენ იმ ზარალის გადახდას, რომელიც მათ მოსდით მათ ადგილებზე ჯარების დაბანაკების დროს, საჭიროდ სცნო, რომ სამხედრო უწყებამ რაიმე საშუალებანი მიიღოს და ამ შემთხვევებში მემამულენი დაუყოვნებლივ დააკმაყოფილოს. სამხედრო-საოლქო საბჭომ, მიიღო რა მხედველობაში კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსის განკარგულება, თავის მხრივ საჭირო განკარგულებანი მოახდინა, რომ სამოქალაქო მთავრობამ, ჯარების წასვლის შემდეგ, სასწრაფოდ დასიმხოს ხოლმე კომისიები და შეავსონ ის ზარალი, რომელიც მამულის პატრონთ მოსდით.

კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწემ სულთან-კრიმ-გირეიმ, სცნო რა სასურველად ხსენებულ საბჭოს ამ გვარი დადგენილება, დაავალა კანცელარიას, სთხოვოს ამიერ-კავკასიის გუბერნატორებს, რომ ეს განკარგულება დაუყოვნებლივ მოახდინონ თავის გუბერნიებსა და ოლქებში.

ზემო-აღნიშნულ ცირკულიარებს ნამესტნიკის კანცელარია აუწყებს ამიერ-კავკასიის გუბერნიებისა და ოლქების უფროსებს აღსასრულებლად.

## საპრემიო პიესების გამო.

ჩვენი დროის მწერლობა, მეტადრე უკანასკნელი დროისა, სულ ერთიანად დაჩრდილა დრამამ. თანამედროვე დრამამ შესამჩნევად წინ გაუსწრო მწერლობის ყველა დარგსა. ეპოსი და ლირიკა, რომანი, მოთხრობა, ნოველა, პოემა, ლექსები და პოეზია უკან ჩამორჩნენ დრამას... ამ მოვლენამ თავი იჩინა თითქმის მთელს მსოფლიო ლიტერატურაში და ევროპისაში განსაკუთრებით. აშკარაა, რომ დრამა შეიქნა ჩვენს დროში შემომქმედების უმთავრეს ფორმად. ექვს გარეშეა, რომ ეხლანდელი სცენა ამუშავებს და ამოქმედებს საზოგადოების საუკეთესო ნიჭსა და ძალ-ღონეს... სცენა შეიქნა ერთად-ერთ საყვარელ კათედრად, საიდანაც ხალხი მოელის არა მარტო გართობა-შექცევას ხელოვნების ცქერით, არამედ განმარტებას და პასუხებს იმ კითხვებზე, რომელნიც წამოყენებულნი არიან თვით ცხოვრებისაგან... ჩვენი დროის მწერლობის დამახასიათებელი თვისება მარტოოდენ დრამების სიმრავლე არ არის, არამედ ამ დრამების სხვადასხვაობა შინაარსისა, ფორმისა, თუ ტეხნიკის მხრივ.

ყოველივე ის გაუგებარი, უცნობი და გამოურკვეველი, რაც აფიქრებს ჩვენს ჭკუას და გონიერებას, ყოველივე ჩვენი გულისხმიერება და წინასწარ-გრძნობა, რომელიც ჩვენდა უნებურად ჩვენს გუნებას უფლობს, ყოველივე ჩვენთა გრძნობათა მხილება, სიხარული თუ სევდა, მარტოობა და სულის ობლობა მოყვასთა თუ უცხოთა შორის, ყოველივე ის, რაც სევდასა და ბოღმას იწვევს, რაც უცნობი სიკვდილის მოახლოვებით სულს ჰხოკავს და გულსა სწიწკნის და ჩვენს არსებას აცახცახებს და აფანცქალებს, ყოველივე ესა და სხვა ამგვარი მრავალი საგნად შეექმნა ახლანდელ დრამას და ამით კვლევა-ძიებაშია იგი ჩაფლული; დასურათხატება ადამიანის სიღუხჭირის უღრმეს უფსკრულისა, ანუ უმწვერვალეს სულის კვეთებისა და გულის თქმათა—აი, რას შეჰხარის და ეტრფიალება დღევანდელი დრამა...

მოსალოდნელი იყო, რომ ჩვენშიაც,—სადაც სასცენო ხელოვნება შედარებით მაღლა სდგას რამდენისამე ნიჭიერ მსახიობ ქალთა და ვაჟთა წყალობით,—ორიგინალი დრამატიული მწერლობა სხვა დარგს მწერლობისას წინ გაასწრობდა, მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა: გასწრობა კი არა, იგი, სხვა დარგთან შედარებით, შესამჩნევად ა ის უკან ჩამორჩენილი.

ქართული ორიგინალი პიესები როგორღაც უფერული და უფხოა, ძალასა და ფერადებს მოკლებული. მართალია, ზოგიერთი კომედიები გ. ერისთავისა, ავ. ცაგარლისი, ნ. აზიანისა და სხვათა სხარტულად არის დაწერილი, მაგრამ მათში უფრო უსაგნო კისკასი, მხიარულებაა, ვიდრე ცრემლ-ნარევი და ნაღვლიანი სიცილი. ხოლო ქართული დრამები კომედიებზე კიდევ უფრო სუსტია, როგორც შინაარსით, ისე მხატვრობის მხრივაც. ამიტომ სულაც არ არის საკვირელი, რომ ცხოვრების ლოღიკამ—რადგანაც შემოქმედი ნიჭი სუსტობს და ძალა არ შესწევს გასამართებელი განმარტოს,—სხვა გზა აირჩია ჩვენს თეატრს პიესების მოსაპოებლად.

ჩვენს სცენაზე, დიდი ხანია, ნელ-ნელა ფეხი მოიკიდა, ეგრედ წოდებულმა, გადმოკეთებულ-გადმოქართულებულმა პიესებმა. პირველი გადმომქართულებელი უცხო პიესებისა ჩვენს ეროვნულ ნიადაგზე იყო ქართული თეატრის დამაარსებელი გიორგი ერისთავი. მისი კომედია „ძუნწი“ და ისტორიული დრამა „ყვარყვარე ათაბაგი“ ორივე გადმოქართულებულია ფრანგულიდან. ორთავე პიესას მეტადრე კომედიას, ქართული ელფერი ჭარბად ემჩნევა და ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქო ორიგინალი იყოსო. რაფიელ ერისთავის პიესების უმეტესობა გადმოკეთებულია და, სხვათა შორის, ქართველურის ელფერით შეზავებულია მისი „ბიძიასთან გამოხუმრება“ და „ჯერ დაიხოცნენ და მერე დაქორწინდნენ“, აგრეთვე აქსენტი ცაგარლის „ბაიყუში“, „ქართველი დედა“ და სხვა. დავით ერისთავს, გიორგის შვილის, ყველა თავისი პიესები გადმოკეთებული აქვს ან რუსულიდან ან ფრანგულიდან, „საზოგადო საქმეს“ გარდა, რომელიც მეტად სუსტია და უფერული; დ. ერისთავის „სამშობლომ“, ვიქტორიენ სარდუს პიესიდან Patrie-დან გადმოქართულებულმა, მთელი ეპოქა შექმნა ქართულ თეატრის ისტორიაში. ივანე მაჩაბელმა საუცხოოდ გადმოაქართულა ფრანგულიდან რიუსისა და პალარას კომედია „Lavocat Pottelen“ — „ადვოკატი მელაძე“ და პირველ ხანებში სარეპერტუარო პიესა იყო. კონსტანტინე მესხის „თამარ ბატონიშვილი“, გადმოკეთებული გრ. რჩეულიშვილის მოთხრობიდან, პირველ ხანებში ერთად-ერთი სარეპერტუარო პიესა იყო ისტორიულის ხასიათისა. მისგანვე ფრ. ბეერის დრამიდან გადმოქართულებული ისტორიული პიესა „რუსთაველიც“ უმნიშვნელო არ არის ჩვენს რეპერტუარში. ვ. გუნიას გადმოკეთებულმა კომედიამ „ძალა აღმართსა ხნავს“ (,,ბელუგინის ქორწინებიდან'') თვალსაჩინო ზეგავლენა იქონია ქართველ საზოგადოებაზე.

იქნება ვინმემ იფიქროს, ეგეთი ნასესხი დრამატურგია, მიმბაძველობით შექმნილი ნაწარმოები ეროვნულ ხელოვნებას ვერ შეჰქმნისო და, როგორც ერთმა ჩვენებურმა კრიტიკოსმა ბრძანა ერთხელ ერთს გადმოქართულებულ პიესის ავტორზე, „სხვის ხელით ნარის მოგლეჯაო“,—მაგრამ ჩვენ ეს შემცდარ აზრად მიგვაჩნია და, აი, რატომ.

ყოველი მწერალი, თუნდაც დიდებული და გენიოსიც, თავის-თავად მხოლოდ ერთ-ერთი რგოლია იმ გრძელ ჯაჭვში, რომლისგანაც შესდგება მრავალთა ჭკუისა და ნიჭის შეერთებული ღვაწლი და მოქმედება. აზრთა მემკვიდრეობა აუცილებელი კანონია, რომლითაც ხელმძღვანელობს კაცობრიობის კულტურის ევოლუცია. შესაძლებელი რომ იყოს და განიდევნებოდეს ყოველივე მიბაძვა, მაშინ რაღა საჭირო იქნებოდა კაცთა ნათესაობისათვის უდიდესი მაგალითები ცხოვრებასა და ხელოვნებაში! ამ ქვეყნად ჰბაძავენ ყველას, ვინც კი შესანიშნავია თავისის გმირობით, ჭკუა-გონებით, ქველობით, სათნოებით, გამბედაობით, ნიჭით და დიდებულის ღვაწლით... ჰბაძავენ ყოველისფერს, ჩვეულებიდან მოკიდებული ჭამა-სმამდე, ჩაცმა-დახურვამდე. პრაქტიკულად ყოვლად შეუძლებელია ცხოვრება და არსებობა წაუბაძველად.

არ არის ქვეყნად არც ერთი მწერალი, რომელიც თვით-მყოფელად და დამოუკიდებლად რასმე ჰქმნიდეს. შეუძლებელია მწერალმა შეგნებულად, ანუ შეუგნებლად მაინც ვისმე არ წაჰბაძოს, არ ისესხოს ვისგანმე ან აზრი, ან იდეა, ან სიუჟეტი, ან გარეგნობა, ან ხასიათი, ან წერის კილო და სხვა წვრილმანები... დედამიწაზე არ არის იმისთანა ადამიანი, რომელიც არ ემორჩილებოდეს ვისიმე ზეგავლენას, ვისმე ან რასმე არ ჰბაძავდეს. მეტადრე ხშირია ეგ წაბაძვა ხელოვნების მოღვაწეთა შორის—მწერალთა და მსახიობთა, მხატვართა და მემუსიკეთა და სხვა მათ მსგავსთა შორის. მართალია, ხშირად მიბაძვა ერთნაირის ძლიერებით არ ხდება: ერთი ძლიერ ჰბაძავს, მეორე ნაკლებად, მაგრამ საბოლოოდ წაბაძვა უცილობელი მოვლენაა კაცობრიობის ბუნებაში. საქმე ის არის, ვინ როგორ სარგებლობს, ვინ როგორ სესხულობს, ვინ როგორ ჰბაძავს. ზოგი სესხი და ბაძვა ნამდვილი „პლაგიატია“—ლიტერატურული ქურდობაა; რა თქმა უნდა, ჩვენ ასეთებზე არას ვამბობთ. ჩვენ სახეში გვაქვს თვითმოქმედი, გადადუღებული ნიჭიერი ბაძვა...

ალექსანდრე დიუმა—უფროსი არაოდეს არ მალავდა—და ვერც დამალავდა—თავის ნასესხებს და წანაბაძსა. მთელი თავისი ძალ-ღონე და ნიჭიც მწერალმა სხვათა ნაწარმოებთა ჰრა-კერვას მოანდომა, მაგრამ ყოველთვის და ყველაფერს თავის ნიჭით დაღავდა თავის დაუშრეტელ ფანტაზიით აპოხიერებდა, თავის ცხოველ მყოფელ ტემპერამენტით ასხვაფერებდა. შორს რაღათ მივდივართ. ისეთ დიდ ნიჭისა და ჭკუის პატრონს, როგორც ილია ჭავჭავაძე, თავისი ტიპიური „კაცია ადამიანი?!“ გოგოლის ,,სტაროსვეტსკი პომეშჩიკების'' წაბაძვით აქვს შექმნილი; მისივე დიდებული პოემა ,,განდეგილი'' გერმანიის ცნობილი რომანისტის ებერსის რომანის ზედ გავლენით არის დაწერილი. მაგრამ ვინ იტყვის, რომ ორივე ხსენებული ნაწარმოები საუკეთესო და შესანიშნავი თხზულება არ იყოს ქართულ ლიტერატურაში!..

ვ. შექსპირის თითქმის ყველა პიესების შინაარსი და სიუჟეტები სულ ნასესხებია და, სულ სხვის მასალებიდან არის გადმოკეთებული, მაგრამ შექსპირის გენიოსობით გასხივოსნებული და გადიადებული. დიდებული შექსპირი ხშირად ეტყოდა ხოლმე თავის მოქიშპეთა და მოწინააღმდეგეთ, რომელნიც მას სხვის ნაწარმოებით სარგებლობას უკიჟინებდნენ: „ეგ ზნე დაცემული დედაკაცი იყო, რომელიც მე ცუდის წრიდან გამოვარიე და უმაღლეს საზოგადოებაში გავრიეო!“...

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას, როგორც ჩვენის გაზეთის განცხადებიდან სჩანს, ორიგინალ პიესების დასაჯილდოვებლად ორს პრემიას ნიშნავს. ეს განცხადებები წლითი-წლობამდე იბეჭდება ხოლმე ყოველ ზაფხულობით, მაგრამ ჯერ დაპირებული პრემია არც ერთს ავტორს არ მიუღია.—რად? იმად, რომ ან გამგეობის საწყაო მეტად დიდი და სასტიკია და ჩვენი მწერლების პიესები ვერ უდგებიან ამ საწყაოს, ან არა და მართლაც საპრემიოდ წარდგენილი პიესები ძალზე სუსტია,—ხელოვნების ნიშან-წყალი და ნიჭის ნატამალიც არ აცხიათ. ორსავე შემთხვევაში საქმე ,,დამშია'', წინ არ მიდის და ქართულ ორიგინალ დრამატურგიას ,,პირი არ უჩანს'' .. აშკარაა, რომ ჯერ ხანად მაინც ქართველ მწერლებში არ მოიპოვება ისეთი ძლიერი ნიჭი, რომელსაც შესძლებოდა ,,ახალი სიტყვის თქმა'', ინტელიგენტთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

რაკი მრავალ წელთა გამოცდილებამ დაარწმუნა გამგეობა, რომ ახალი დრამატურგები დიდმა პრემიებმაც ვერ გამოჩეკეს, ეხლა მან სხვა ღონე და ხერხი უნდა იღონოს. ეს სხვა გზა და სხვა რამე, ჩვენის აზრით, არის, ორიგინალ პიესებზე პრემიების დანიშვნის გარდა, გადმოკეთებულ, გადმოქართულებულ პიესების შესაფერი დაჯილდოებაც. ჩვენ გვჯერა და გვწამს, რომ ამ მარტივის საშუალებით ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა უფრო ხელს შეუწყობს ეროვნულ დრამატურგიას და ახალ მწერლობასაც გზას გაუკაფავს, ვიდრე არ არსებულის ძებნით რასმე გააწყობს თეატრისათვის.

შემცდარი აზრია, ვითომ ორიგინალი ცომი უფრო ნოყიერი და მარგებელი იყოს საზოგადოებისათვის, ვიდრე ნასესხი და კარგათ გამომცხვარი პური... რაც უნდა ილაპარაკონ ზოგიერთ კოსმოპოლიტებმა ხელოვნება, მუდამ ნაციონალურია. მწერალი ნაციონალურად ფიქრობს და გრძნობს, ნაციონალურად სტირის და იცინის. განსაკუთრებით თავს იჩენს ხოლმე ეროვნული ელფერი სცენაზე, სასცენო ხელოვნებაში. მსახიობი მწერალზე უფრო ნაციონალურია: მისი სახე, გარეგნობა, ხმა, კილო, მიხვრა-მოხვრა და სხვა ათასი წვრილმანი ნაციონალურის არსებით არის გამსჭვალული; ამიტომ მეტად ძნელია მუდმივ ნათარგმნი პიესების გაპიროვნება სცენაზე უნაკლოდ და ხელოვნურად.

სწორედ ამ ნაციონალურ ელფერის გულისათვის, დიახაც საჭიროა ზოგჯერ ბევრ გარეშესი მოშინაურება,—გადმოქართულება. ასეთ მიბაძვაში ჩვენ პირველები არ ვიქნებით. სხვა პატარა ერებიც ამას ჩადიან. ამჟამად პოლონეთში ცოტად თუ ბევრად შესამჩნევი დრამატურგი არ მოიპოვება ფშიბიშევსკის მეტი და ამიტომ იმათი დრამატურგია მომეტებულად ნასესხებია, მაგრამ ეროვნულს ქარცეცხლში გამოსული და გამოქნილი,—გაპოლონებულია. აგრეთვე ჩადიან ავსტრიელთა შორის ჩეხებიც და სხვებიც. აგრეთვე უნდა მოვიქცეთ ჩვენც.

ყოველივე ზემოდ თქმულიდან ის დასკვნა გამოდის, რომ ამჟამად ჩვენს თეატრს და სცენას დიდსა და დაუვიწყარ სამსახურს გაუწევს კარგად, შეგნებულად და ნიჭიერად გადმოქართულებული რეპერტუარი, რომლის მოწყობა და მოწესრიგება თავს უნდა იდვას ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ, ვითარცა ქართულ თეატრის ბედიღბლის გამგებელმა.

**სცენის მოყვარე.**

## ირლანდიის წარსულიდან *)

აქ მეტია ყველა იმ მიზეზების ჩამოთვლა, რომელთაც ირლანდიაში გამოიწვიეს ძლიერი საზოგადოებრივი მოძრაობა თავისუფლების მოსაპოვებლად.

ინგლისი, ირლანდიის ბატონად გამხდარი, ირ-

---

მოიწადინა, მაშინ გერმანიის პროლეტარიატი სამშობლოს დაცვისათვის უკანასკნელ სისხლის წვეთს დაღვრისო. რას ნიშნავს ეს? თუ პროლეტარიატს და ბურჟუაზიას საერთო ინტერესები არ აქვთ, თუ მათ შორის მხოლოდ მუდმივი, დაუწყნარებელი ბრძოლაა, მაშინ, ომის დროს, უცბად როგორ ჩნდება პატრიოტული გრძნობა? ომში ხომ ბურჟუაზიაც იღებს მონაწილეობას, ომის გათავებაში ხომ ბურჟუაზიაც არა ნაკლებ დაინტერესებულია? და თუ პროლეტარიატი ამ ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს, მაშინ, ცხადია, ბურჟუაზიას და პროლეტარიატს ჰქონიათ საერთო ინტერესები. ასეთია ერთად-ერთი ლოღიკური დასკვნა, რომელიც შეიძლება გამოვიყვანოთ ასეთი განცხადებიდან და, რომელიც ნათლად ჰყოფს სოციალ-დემოკრატიის მიერ შეთვისებულ კლასთა ბრძოლის თეორიის უკიდურესობას.

და განა მარტო ომის დროს ჩნდება საერთო ნაციონალური ინტერესები? ავიღოთ საგარეო საეკონომიო პოლიტიკა. თუ, მაგ. რომელიმე ერის მეურნეობითი ინტერესები უცხოეთში დაჩაგრულია, თუ საკუთარ მრეწველობის ნაწარმოები დიდი ბაჟების გამო იქ ბაზარს ვერ პოულობს, მაშინ იჩაგრება ეროვნული ინდუსტრია და, მაშასადამე, პროლეტარიატის ინტერესებიც, ვინაიდან მუშა კლასის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესება მჭიდროდაა დაკავშირებული ნაციონალურ კაპიტალიზმის განვითარებასთან. ამას კარგად გრძნობს კაპიტალიზმის კლასიკურ ქვეყნის—ინგლისის—პროლეტარიატიც, რომელიც, ინგლისურ განწყობილებათა კარგად მცოდნის პროფ. შულცე გევერნიცის სიტყვით, „დღეს ყველა თავის წრეში ,,იმპერიალისტურ'' მისწრაფებითაა შეპყრობილი. განსაკუთრებით შეიგნო ნასწავლი და მაღალ ქირის მიმღებ მუშათა კლასმა, რომ დიდის შრომითა და წვალებით მოპოებული მაღალი დონე მისი ცხოვრებისა დაკავშირებულია ინგლისის ინდუსტრიის აყვავებასთან, ე. ი. ინგლისის კაპიტალისტურ და პოლიტიკურ ძალასთან. თავის ინტერესს ის ხედავს ორივეს დაცვაში; ამის საშუალებაა, როგორც ზარბაზნები და გემები, ისე კაპიტალიც. იგი სიამოვნებით უყურებს უცხოეთში ინგლისურ კაპიტალის ტრიალს რადგანაც თვითონ ამის მეოხებით სამშობლოში მაღალი სამუშაო ქირის აღებას მოახერხებს. ორივე, კაპიტალი და ძალის საშუალება, არის მისთვის იარაღი მსოფლიო ბატონობისა“.

თითქმის ამასვე იმეორებს გერმანიის რეიხსტაგის სოციალდემოკრატი, დეპუტატი შიპელი, რომელიც უფრო გარკვევით სწერს: „ჩვენ, „კაპიტალის“ მტრები, შევიქენით ,,კაპიტალისტური განვითარების'' მხურვალე მეგობრები და წინწამწევნი. გერმანიის მუშათა კლასს, მიუხედავად კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლისა, ბევრ რამეში თავისი თავი მიაჩნია მოკავშირე ამხანაგად შორს მჭვრეტელ და თამამად არჩეულ სამრეწველო პოლიტიკისა. მრეწველობას შეუძლიან ჩვენ ვძულდეთ, მაგრამ გერმანიის მუშათა კლასმა თავის სამშობლოში თავის ხელით უნდა ასაზრდოვოს იგი, სანამ თვითონ მისი მემკვიდრე არ შეიქმნებოდეს. ჩვენ, იქნებ, არ შეგვიძლიან გვიყვარდეს ეს ისტორიულად გადმოცემული წესი წარმოებისა, მაგრამ ჩვენ მაინც არაფერს არ წარმოვადგენთ უმისოდ და მხოლოდ მისი გაფართოვება და მომწიფება შეაძლებინებს პროლეტარიატს მოემზადოს თავის დიდ, ისტორიულ დანიშნულების ასასრულებლად“.

რომ ეროვნულ ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებაში პროლეტარიატიც დიდად დაინტერესებულია, კიდევ უფრო ნათლად სჩანს ბებელის შემდეგის სიტყვებიდან: როდესაც ამ ორიოდე წლის წინად ინგლის-საფრანგეთის ცნობილი შეთანხმება მოხდა (ეს შეთანხმება უმთავრესად გერმანიის წინააღმდეგ იყო მიმართული), ბებელმა რეიხსტაგში საჯაროდ განაცხადა სურვილი,—გერმანიის მთავრობამ მიიღოს ზომები მაროკკოში გერმანიის სავაჭრო ინტერესთა დასაცველად. მიმდინარე წლის მარტში, იგივე ბებელი გაცხარებით უმტკიცებდა გერმანიის კანცლერს ინგლისთან მოსალოდნელ ომის სახიფათო შედეგებს გერმანიის ვაჭრობა-მრეწველობისათვის, რადგან ინგლისი არის ის ქვეყანა, სადაც გერმანია უმთავრესად ასაღებს თავის საქონელს და, თუ ასეთ სახელმწიფოსთან დამოკიდებულება გამწვავდა, ცხადია, ჩვენი ინდუსტრია შესამჩნევლად დაეცემა. ეს არგუმენტი იყო ერთი უმთავრესი მოსაზრება ბებელისა ინგლისსა და გერმანიას შორის მეგობრულ განწყობილებათა საჭიროების დასამტკიცებლად.

თუ, მაგ., გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ ბაჟების შემოღებას მედგარი წინააღმდეგობა გაუწია, ეს მოხდა არა იმიტომ, ვითომ ეროვნული ვაჭრობა-მრეწველობის ინტერესები მისთვის უმნიშვნელო რამ იყოს, არამედ იმიტომაც, რომ ბაჟები მას მიაჩნია მავნედ თვით გერმანულ მრეწველობისათვის. გერმანიის ინდუსტრია ისე მაღალ საფეხურზე სდგას, რომ მას ადვილად შეუძლია უცხოეთის კონკურენციას გაუძლოს; ამ მხრივ მისთვის სახიფათო არა არისრა. ბაჟები კი მხოლოდ იქ არის საჭირო, სადაც მრეწველობა ჯერ კიდევ ნორჩია და სადაც, მაშასადამე, გარეშე კონკურენციის შეზღუდვა ეკონომიურ აუცილებლობას წარმოადგენს. კაპიტალისტურად ისე მაღლა განვითარებულ ქვეყნისათვის, როგორიც არის თანამედროვე გერმანია, ბაჟების შემოღება მავნეა, რადგან ბაჟები სპობს უცხოეთის მეტოქეობას და მით აფერხებს ტეხნიკურ პროგრესს, აძვირებს საქონელს და სხვ.

ცხადია, რომ გერმანიის მართლმორწმუნე სოციალ-დემოკრატიაც კი არ უარჰყოფს ეროვნულ ვაჭრობა-მრეწველობის წარმატებისათვის ზრუნვის საჭიროებას. აქედან მხოლოდ იმ დასკვნის გამოყვანა შეიძლება, რომ ეროვნულ მეურნეობის დაცვა ეროვნული მოვალეობა ყოფილა.

და განა მარტო საგარეო პოლიტიკაშია საერთო ნიადაგი მოსაძებნი? ავიღოთ ცოცხალი მაგალითი, დღევანდელი ისტორიული მომენტი რუსეთში. მოგეხსენებათ, რუსეთში დღეს ყველა სოციალურ ჯგუფს და მათ ინტერესთა გამომხატველ პოლიტიკურ პარტიებს მხოლოდ ერთი სურვილი ასულდგმულებს: ეს სურვილთა უფლებრივი წყობილების დამყარება სახელმწიფოში. რუსეთს არ შეუძლიან გარეშე მტრისაგან თავის დაცვა, არსებული პოლიციური ბიუროკრატიული რეჟიმი განადგურებას უქადის მთელ ერს, მშვიდობიანი მოქალაქობრივი ცხოვრება და ეკონომიური წარმატება წარმოუდგენელია, პიროვნების უფლებანი ყოველ წამს ილეწება (ბურჟუაა ის, თუ პროლეტარი),—და განა შესაძლებელია ითქვას, ვითომ მხოლოდ პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესები მოითხოვდეს არსებულ წყობილების გარდაქმნას? არა, ჩვენ ვამბობთ, რომ რუსეთისათვის უფლებრივ წყობილების დამყარება არის კითხვა ეროვნული, კითხვა მთელი ერის „ყოფნა-არ-ყოფნისა“, ვინაიდან უფლებრივი წყობილება აუცილებელი პირობაა მოქალაქობრივ და კაპიტალისტურ განვითარებისა. და რაღა შორს მივდივართ: საქართველოს ტერრიტორიალური, ეროვნული თვითმართველობა აუცილებელი პირობაა ჩვენი ერის განვითარებისა და, როგორც ამნაირი, ყველა ჯგუფთათვის, რომელნიც ეროვნულ ნიადაგს არ ჩამოშორებიან, ერთნაირად მნიშვნელოვანია. და ასეთი მომენტი იწვევს შინაურ ცხოვრებაშიაც ძალთა შეერთებას და საერთო მისწრაფებათა განსახორციელებლად ენერგიულ და რწმენით სავსე მოქმედების დაწყებას.

ორიოდე მაგალითი კიდევ სოციალ-დემოკრატიულ პრაქტიკიდან. გასულ წელს გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ბრემენის პარტეიტაგის შემდეგ გამოსცა მოწოდება, რომელშიაც აღნიშნული იყო დემოკრატიული რეფორმების საჭიროება და გარკვევით იყო ნათქვამი, რომ, რადგან პროლეტარიატს არ შეუძლიან სხვების დაუხმარებლად დასახელებულ რეფორმების შემოღება, ამიტომ შესაძლებელია ბურჟუაზიულ პარტიებთან ერთად მოქმედება და ამ რიგად სასურველ რეფორმათა განხორციელებაო. თუ დემოკრატიულ რეფორმების განხორციელება, პროლეტარიატს გარდა, სხვა პარტიებსაც აინტერესებს, თუ ასეთი დროებითი კავშირი ,,ნებადართული'' რამ არის,—ცხადია, საშინაო პოლიტიკაშიაც ყოფილა საერთო ინტერესები და სამოქმედო საერთო ნიადაგი. თუ საფრანგეთში, ამ ორიოდე თვის წინად, პარლამენტში გავიდა შესანიშნავი პროექტი საერო მმართველობისაგან ეკკლესიის განცალკევებისა, ეს იყო შედეგი უმთავრესად რადიკალთა და სოციალისტთა შეთანხმებულ მოღვაწეობისა. საერთო ნიადაგი რომ ფიქცია იყოს და არა არსებული ფაქტი, მაშინ აუხსნელია ბურჟუაზიულ დემოკრატებისა და სოციალისტების ასეთი მჭიდრო დაკავშირება და დაახლოვება. საფრანგეთის დემოკრატია ხომ არსებულ ,,ბურჟუაზიულ'' ნიადაგზე სდგას, მას სოციალიზმი ხომ მხოლოდ ფანტასტიურ სურათად ეჩვენება და სოციალისტურ სახელმწიფოზე ლაპარაკი სიცილადაც არ ჰყოფნის (თუმცა ფართო სოციალურ რეფორმების მომხრეა)! ინტერესთა წინააღმდეგობა რომ ისე აშორებდეს ერთმანეთს სხვადასხვა კლასებს, როგორც მართლ-მორწმუნე მარქსისტები ამტკიცებენ, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა ასეთი დაკავშირება სხვადასხვა ჯგუფთა დემოკრატიულ რეფორმების განსახორციელებლად.

ყველა ზემოდ მოყვანილ კონკრეტულ მაგალითებით ჩვენ გვინდოდა დაგვენახვებინა მკითხველისათვის, რომ საზოგადოებრივი ჯგუფები თანამედროვე საზოგადოებაში არც ისე დაშორებულნი არიან ერთმანეთისაგან, რომ მათ შორის საერთო ნაციონალურ ინტერესთა არსებობაში ეჭვის შეტანა შეიძლებოდეს. თავისთავად იგულისხმება, რომ ჩვენ აზრადაც არ მოგვდის ინტერესთა წინააღმდეგობის უარისყოფა და გადაფუჩეჩება. სოციალურ დიფერენციაციის-მიერ გამოწვეული ინტერესთა სხვადასხვაობა და დისგარმონია ისეთი რეალური და ადვილად საგრძნობი რამ არის, რომ ვინც ამ ფაქტზე გვითითებს, ის ღია კარის გაღებას ცდილობს. ჩვენ ვართ მხოლოდ წინააღმდეგი იმ გაჭიადებულ წარმოდგენისა კლასობრივ წინააღმდეგობაზე, რომელსაც ქადაგებს ორტოდოქსალი მარქსიზმი და რომელიც კონკრეტულ სინამდვილეში არა სჩანს. კლასთა ბრძოლას არსად არ მიუღია ისეთი გამწვავებული ფორმა, რომ ერის სხვადსხვა ჯგუფებს ერთმანეთთან არაფერი არ აკავშირებდეს.

ეს საერთო ეროვნული ინტერესები ყველაზე უფრო ადვილი დასანახია პოლიტიკურად დამოკიდებულ ერთა ცხოვრებაში. როდესაც სდევნიან ეროვნულ ენას, ზნე-ჩვეულებას, ართმევენ ერს ტერრიტორიას და, საზოგადოთ, როდესაც სურთ ერის გადაგვარება, მაშინ საზოგადოების ყველა ჯგუფს აერთებს საერთო სურვილი ეროვნულ ვინაობის შერჩენისა, რადგან ამ შემთხვევაში საერთო და ყველასათვის ერთნაირად ძვირფასი ინტერესები იჩაგრება. აიღეთ პოლონეთი, ავსტრო-უნგრეთში მცხოვრები პატარა ერნი, ფინლიანდია და სხვ., ყოველგან ხელი-ხელ ჩაკიდებული, თავგანწირული ბრძოლაა გაჩაღებული ეროვნულ უფლებათა დასაცველად. პრუსიაში მცხოვრები პოლონელები მხოლოდ ერთმანეთის დახმარებით ახერხებენ მათი ეროვნების წინააღმდეგ მიმართულ სასტიკ განსაკუთრებულ კანონებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიონ. პოლონეთის ბურჟუაზია და თავად-აზნაურობა ძლიერ ეხმარება გლეხობას ადგილ-მამულის შეძენის საქმეში,—აარსებენ საგლეხო ბანკებს და უხვად ურიგებენ უმიწაწყლო გლეხობას შესყიდულ მიწებს. პოლონელი მშრომელი ხალხიც, გლეხი თუ მუშა, აფასებს ამ დახმარებას, ბოიკოტს უცხადებს გერმანელ ვაჭრებს, საჭირო საქონელს მხოლოდ პოლონელ ვაჭრებისაგან ყიდულობს. თუ ეროვნული ინტერესები ბურჟუაზიის-მიერ ხალხის დასამონავებლად არის გამოგონილი, მაშინ არ გვესმის, რატომ ხარჯავს პოლონეთის შეძლებული კლასი ამოდენა ფულს და ენერგიას (რომელსაც მთელი ევროპა განცვიფრებაში მოჰყავს) ხალხისათვის ადგილ-მამულის შესაძენად! ვიწრო კლასობრივ ინტერესებს გარდა კიდევ სხვა რამეც ყოფილა ერის ცხოვრებაში...

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ვისაც მარქს-ენგელსის კლასთა ბრძოლის თეორია შეურყეველ ჭეშმარიტებად მიაჩნია და უსაზღვრო მნიშვნელობის დოგმად აქვს წარმოდგენილი, მას არ შეუძლია არც ეროვნულ პრობლემისა და არც ეროვნულ ბრძოლის გაგება. და ბ-ნი მახარაძე, რომელსაც კლასთა ბრძოლის მეტი არა სწამს რა, გადაჭრით ამბობს: ,,ნაციონალისტები ყოველთვის და ყოველგან ბურჟუაზიის ინტერესებს იცავენო''. თურმე ენის, ტერრიტორიის და საზოგადოდ ეროვნულ უფლებათა დაცვა მშრომელ ხალხისათვის არაა მნიშვნელოვანი და ეროვნულ ინტერესების დასაცველად ზრუნვა კლასობრივ ინტერესების სამსახურს მოასწავებს! სიტყვა ,,ბურჟუაზია'' ყველაფრის ამხსნელ-განკ-

---

*) დიონეოს წერილიდან „რუსსკოე ბოგატსტვო“, № 7).

ლანდიის ერს ინგლისელების მონად ისახავდა და არ იმეტებდა მათთვის იმ უფლებებსაც, რომელიც თავისთვის, ინგლისში, აუცილებლად მიაჩნდა ყოველთვის: პიროვნების ხელუხლებლობა, პრესსის, სიტყვის, კრებების თავისუფლება, რა საჭირო იყო ყოველივე ეს იმ ერისათვის, რომელიც მორჩილად ითმენდა მონობის უღელს, შეუფერებელ ღალას უხდიდა მიწის პატრონს, ხშირად შიმშილსაც იტანდა და, დღიურ ლუკმა-პურის ძებნაში გართული, არ ფიქრობდა ადამიანურ ცხოვრებაზე, არ იბრძოდა საამისო უფლებების მოსაპოვებლად!..

ირლანდიის მორჩილება ისეთი უსაზღვრო იყო, რომ დიდ შიმშილობის დროსაც კი, როდესაც დამშეულები ბალახით იკვებებოდნენ და ქუჩებში კვდებოდნენ,—ხალხი შინ თავის ცხოვრების გაუმჯობესებას აღარ ჰფიქრობდა და მხოლოდ სტოვებდა სამშობლოს და მიდიოდა შორს, ამერიკაში, ახალ სამშობლოს მოსაპოვებლად.

მხოლოდ აქა-იქ ავაზაკობა გახშირდა, ქურდობა, გაძარცვა, ადამიანის მკვლელობაც. ხშირად ადამიანი ავაზაკობას ჩადიოდა იმისთვის, რომ ციხეში ჩაესვათ,—იქ დღიური ლუკმა-პური მაინც უზრუნველყოფილი ჰქონდა.

ინგლისის მთავრობამ, შიმშილობისაგან გამოწვეულ ავაზაკობათა მოსასპობლად, ძალას მიმართა,—ირლანდიაში გაძლიერებულ დაცვის წესები შემოიღო და საშინელის სისასტიკით სჯიდა ირლანდიელებს.

ამ მოქმედებამ ირლანდიელებში გამოიწვია სიძულვილი ინგლისისადმი.

ეს იყო 1848 წელს,—იმ დროს, როდესაც ხალხი ყველგან, მთელ ევროპაში ითხოვდა თავისუფლებას, მთავრობა ყველგან ებრძოდა ხალხს, მაგრამ ყველგანვე დამარცხებული რჩებოდა.

1848 წ. 5 თებერვალს, ირლანდიაში ახალი გაზეთი დაარსდა, „უნიტედ ირიშმენ'', რომელიც ამტკიცებდა, მშვიდობიანის გზით ხალხი ვერაოდეს ვერ მოიპოვებსო თავისუფლებას.

მთავრობამ ისევ სისასტიკეს მიმართა. ახალ მოძრაობის მეთაურები დაატუსაღეს, დანარჩენებმა ხალხის აჯანყება სცადეს, მაგრამ 50,000 შეიარაღებულ კაცის მაგიერად ხელში შერჩათ 500 უიარაღო ადამიანი... ამათ, რასაკვირველია, მთავრობის საწინააღმდეგოდ არაფერი აღარ შეეძლოთ.

ის მეთაურები, რომელნიც ხელიდან გაუსხლტნენ მთავრობას, ახლა ამერიკაში გადვიდნენ,—მათში იყო ცნობილი ირლანდელი მამულიშვილიც—ჯემსი ო'ბრაიენიც, რომელიც ყოველთვის ჰკიცხავდა „ზომიერებს", მშვიდობიან რეფორმების მომხრეებს.

ირლანდიაში ზოგი აშკარა ბრძოლას ითხოვდა, ზოგი კიდევ მოწყალებას ელოდა საგან. ელოდა იმიტომ, რომ ინგლისის ჟურნალ-გაზეთებში ხშირი იყო ეროვნულ აღორძინების ქება, როდესაც საქმე ეხებოდა... სხვა ქვეყნებში მცხოვრებს ეროვნებას... ყოველ ერს აქვს უტყუარი უფლება,—თვითონ აირჩიოს ისეთი მთავრობა, რომელიც მას მიაჩნია საუკეთესოდაო,—იწერებოდა იტალიელების შესახებ „ტაიმსი". „სიტყვით, ლაპარაკით უფლების მოპოვება არ შეიძლება,—უმატებდა ისევე „ტაიმსი". და ხალხის მჩაგვრელებთან ბრძოლაში საჭიროა სხვა, უფრო ძლიერი საშუალება და არა ცარიელი სიტყვებით, ბრძოლა.

მაგრამ ეს აზრები იმავე ინგლისელებს აღარ მოსწონდათ, როდესაც მათ იმეორებდნენ ირლანდიელები. ასეა, ხშირად გაბატონებული ეროვნება გამანთავისუფლებელ მიმართულებას ადგება, იბრძვის თავისუფლების, თანასწორობის დასამყარებლად, აცხადებს ყველას თანასწორი უფლება უნდა ჰქონდესო მინიჭებული სახელმწიფოში, მაგრამ როდესაც საქმე ასრულებაზე მიდგება, აშკარა ხდება, რომ ამ „თავისუფლების მოტრფიალეს" თავისუფლება ისე არ ესმის, როგორც იმათ, ვინც სახელმწიფოში გაბატონებულ ერისგან კულტურულადაც დაჩაგრული ყოფილა. გაბატონებული ეროვნება იბრძვის პოლიტიკურ თავისუფლების მოსაპოვებლად, დამონებული კი კულტურულ განვითარების თავისუფლებასაც მოითხოვს, იმ თავისუფლებას, რომლის შეზღუდვას გაბატონებული ეროვნება არასოდეს არ გრძნობდა თანასწორის სიმწვავით.

ასე ინგლისსა და ირლანდიაშიაც. ინგლისის ერი, თავისთვის უსაზღვრო თავისუფლების მოტრფიალე, წინააღმდეგი შეიქნა, როდესაც ირლანდიელებმა თავისთვისაც მოითხოვეს თანასწორი თავისუფლება და, სხვათა შორის, ადგილობრივი, ეროვნული, ირლანდიის თვითმართველობა; და ეს გარემოება ამრავლებდა ირლანდიელებში იმათ რიცხვს, ვინც აცხადებდა,—არავითარი კავშირი ინგლისელებთან, არავითარი თხოვნა და მუდარა!

ეს აზრი ასულდგმულებდა ირლანდიელების იმ ჯგუფს, რომელსაც ფენიების ჯგუფი დაერქვა. ამ ჯგუფის ერთი უმთავრესი წარმომადგენელთაგანი იყო ო'ბრაიენი.

ირლანდია თავს იცავსო,—ამბობდა იგი,—იგი იძულებულია თავისი არსებობა დაიცვას. ინგლისმა თავისი ძალმომრეობით გვასწავლა, რომ ბრძოლაში ირლანდელის სიცოცხლე იაფად ფასდება.

აი, როგორ ახასიათებდა, ირლანდიის მაშინდელ მდგომარეობის ცნობილი საზოგადო მოღვაწე, დიზრაელი: „ირლანდიაში არ არსებობს პრესსის თავისუფლება, არ არის პიროვნების ხელუხლებლობა, პოლიცია თარეშობს, თავის ნებაზე ატუსაღებს იმათ, ვისაც საეჭვოდ მიიჩნევს, პოლიციას შეუძლიან ადამიანს სახლში შემოუვარდეს, ქაღალდები გადაუჩხრიკოს... გაზეთებს მთავრობის საწინააღმდეგოდ კრინტის დაძვრაც არ შეუძლიანთ... ინგლისი აცხადებს უნდა დავამშვიდოო ეს მხარე და ავიწყდება, რომ ძალმომრეობით ხალხის დამშვიდება არ შეიძლება!..

ვერც ერთი გათვითცნობიერებული ადამიანი ვერ შეურიგდება ამნაირ ცხოვრებას,—ამბობდა პარლამენტში ჯონ ბრაიტი, როდესაც მთავრობას განსაკუთრებულ ზომების მიღება უნდოდა ირლანდიაში. ადვილია გაძლიერებულ დაცვის წესები შემოიღოს ადამიანმა, — მაგრამ ამნაირ წესებით უკმაყოფილობის მოსპობა განა შესაძლო არის? უკმაყოფილობის მიზეზი დარჩება და ხალხის მოძრაობაც თანდათან იმატებს. რეპრესსია—საწამლავია, საქმეს უშველის მხოლოდ ძირითადი რეფორმა''.

გლადსტონმაც გამოაცხადა, რომ ეს ძირითადი რეფორმა—ირლანდიის ავტონომიაა,—ირლანდიის ხალხს უფლება უნდა ჰქონდეს თავისი საქმეები თვითონვე განაგეს ისე, როგორც ინგლისის ხალხი თავის საქმეებს თვითონვე განაგებს.

მაგრამ ამ აზრს გლადსტონი დაადგა მხოლოდ მაშინ, როდესაც ირლანდიის ცნობილმა ბელადმა პარნელმა აიძულა ინგლისის პარლამენტი, მეტი ყურადღება მიექცია ირლანდიაზე... პარნელი კი თავის მოქმედებაში ყოველთვის იყო დამყარებული ხალხის ძალაზე.

პარნელის ძლიერების ნამდვილი მიზეზი ის იყო, რომ მან ირლანდელთა ყველა საზოგადოებრივი ძალა შეაერთა, შეაკავშირა. დამონებულ ერის წარმომადგენლებს მხოლოდ მაშინ შეუძლიანთ რამე გავლენა იქონიონ საერთო პარლამენტში, თუ ამ წარმომადგენლებს ზურგს უმაგრებს მთელი ერი, მიმართულების განურჩევლად. იქ, სადაც ერი დაქსაქსულია, სადაც მისი სხვადასხვა პოლიტიკური პარტია ერთმანეთს ებრძვის,—იქ გარეშე მტერთან ბრძოლა, გაბატონებულ ეროვნებასთან თანასწორობის მოპოვება სახელმწიფოში არ შეიძლებაო.

პარნელს სძულდა ინგლისელები, სძულდა ისე, როგორც ყოველ დამონებულს სძულს თავის მჩაგვრელი. წინედ ჩვენი ერის წარმომადგენლები ხვეწნა-ვედრებით სცდილობდნენ თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესებას, და—შემცდარნი იყვნენ.

ინგლისელები საერო კრებაში ირლანდიელებსაც აგზავნიდნენ წარმომადგენლებს, მაგრამ ამ წარმომადგენლების ხმას პარლამენტში არავითარი გავლენა არ ჰქონდა, სანამ პარნელმა პირდაპირი ბრძოლა არ გამოუცხადა თვით საპარლამენტო ცხოვრებას და ობსტრუქციის საშუალებით არ შეაფერხა პარლამენტის მოქმედება ინგლისში.

ბოლოს ინგლისის ხალხმა დაუთმო მებრძოლ ირლანდიას, მიანიჭა ზოგიერთი რეფორმა; მრავალი ინგლისელი აღმოჩნდა, რომელიც დარწმუნდა, რომ საჭიროა ირლანდიის სამუდამოდ დამშვიდება ძირითად რეფორმით და ეს ძირითადი რეფორმა არის ჰომრული,—ირლანდიის პოლიტიკური თვითმართველობა.

მხოლოდ ამ რეფორმას შეუძლიან დაამშვიდოს ირლანდიელები...

---

მარტებლად მიაჩნდა ჩვენს მოკამათეს. როცა ბურჟუაზია იცავს ნამდვილ ნაციონალურ ინტერესებს, მის ამგვარ მოქმედებას ეროვნული მნიშვნელობა აქვს, თუმცა თვითონ ბურჟუაზია განსაზღვრული საზოგადოებრივი კლასია და, ვითარცა ასეთს, თავისი კლასობრივი ინტერესებიც აქვს. ეროვნული ინტერესები აერთებს ერის სხვადასხვა კლასებს და ჰქმნის, ეროვნულ სოლიდარობას. და მშრომელ ხალხს, თუ კი იგი შეგნებულია, არ შეუძლია ხელი არ მისცეს სხვა საზოგადოებრივ ჯგუფს, ვინც უნდა იყოს ეს ჯგუფი, როცა იგი საერთო ეროვნულ ინტერესებს მოსარჩლეობას უწევს და ერის უფლებებს იცავს.

დავუბრუნდეთ ისევ ნორვეგიის-მიერ შვეციასთან უნიის გაწყვეტის მაგალითს და ვნახოთ, მართლდება თუ არა ამ კონკრეტულ შემთხვევაშიაც ჩვენ-მიერ გამოთქმული ზოგადი მოსაზრება საერთო ეროვნულ ნიადაგის არსებობაზე. ვალაპარაკოთ თვით ნორვეგიელი სოციალ-დემოკრატი: ,,კლასობრივი განსხვავება გაჰქრა ამ დროს. მინისტრებმა და გენერლებმა ისეთივე სურვილი გამოსთქვეს, როგორიც სოციალისტ მუშებმა: შორს ის უნია, რომელიც ოთხმოცი წლის განმავლობაში ეროვნულ თვითგამორკვევის უფლებას ავიწროებდა!.. მთელი ერის გრძნობა, უკიდურესს მემარჯვენეთაგან დაწყებული სოციალ-დემოკრატიით გათავებული, ერთ და იმავე გადაწყვეტილების გარშემო ტრიალებდა: ეხლა ჩვენ თვითონ უნდა გადავწყვიტოთ ელჩთა საკითხი. ეს შეიქნა ჩვენთვის ეროვნულ სახელის საკითხად და ჩვენ გვაქვს სრული უფლება ჩვენ თავს ჩვენვე ვუპატრონოთ... ისე მოეწყო საქმე, რომ ნორვეგიაში ყველა პარტიები და კლასები ამ წუთს შეერთდნენ, რათა ნაციონალური საქმე სისრულეში მოეყვანათ. რომ ერის ასეთი შეერთება შესაძლებელია, ამაში განსაკუთრებით სოციალისტი არ უნდა ეჭვობდეს... ამნაირად ცოცხალი ცხოვრება ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, რომ ის უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია, ვიდრე დოგმატიზმით სავსე თეორია" (იხ. სოციალისტიშე მონატსჰეფტე № VIII, გ. 655—662).

საჭიროა კიდევ კომენტარიები?!

ჩვენ მხოლოთ არ უნდა გვავიწყდებოდეს განსხვავება ობიექტიურ ინტერესებსა და ამ ინტერესების სუბიექტიურ გამოხატვის შორის. დღეს რუსეთის გლეხობა შედარებით გაჩუმებულია და არსებულ რეჟიმის წინააღმდეგ ხმას არ იღებს, მაგრამ ეს კიდევ იმას არ მოასწავებს, ვითომ ყოვლად ძლიერი ბიუროკრატია მის ინტერესებს არ სჩაგრავდეს. ყველამ კარგად იცის, რომ ყველაზე უფრო უნუგეშო მდგომარეობაში გლეხობაა ჩავარდნილი და, თუ ის მაინც პასუხს არა სთხოვს მმართველ ბიუროკრატიას, ეს უნდა აიხსნას მხოლოდ მისი შეუგნებლობით. ასევე თუ ქართველ მშრომელ ხალხს ჯერ-ჯერობით ნაკლებად აქვს შეგნებული ეროვნების დაცვის საჭიროება და საზოგადოდ ეროვნულ საკითხის მნიშვნელობა (სამწუხაროდ, არა მარტო „მშრომელ ხალხს"), შეცდომა იქნება აქედან ასეთი დასკვნა გამოვიყვანოთ: ეს იმიტომ ხდება, რომ ეროვნების დაცვა მშრომელ ხალხის ინტერესს არ შეადგენსო. მშრომელი ხალხი ცაში არ ცხოვრობს და მოწყვეტილი არაა ეროვნულ ცხოვრებას, და ამიტომ, როგორც კი მასში ცნობიერება გაიზრდება, მას არ შეუძლიან აქტიური მონაწილეობა არ მიიღოს ეროვნულ უფლებათა აღდგენის საქმეში, ვინაიდან ეროვნება ყველასათვის ერთნაირად ძვირფას და დაუფასებელ საუნჯეს წარმოადგენს. რამდენადაც მატულობს ხალხის კულტურული წინსვლა, იმდენად უფრო იზრდება მასში ეროვნული თვითცნობიერება, იმდენად უფრო ეჩვევა იგი ეროვნულ ინდივიდუალობის დაფასებას, იმდენად უფრო ეცდება იგი, ეს შეგნება პრაქტიკულადაც გამოიყენოს. ჩვენ ჩვენი ერის მომავლის იმედი გვაქვს და დარწმუნებულიცა ვართ, რომ არავითარ სოფიზმებს არ შეუძლიან შეაჩეროს ქართველ ეროვნულ თვითცნობიერების ზრდა-განვითარება. ამ მხრივ სახიფათო არა არის-რა...

ნეტა რას იტყოდა თვით კრიტიკულად მოაზრე მარქსი, რომ უცბად საფლავიდან ამდგარიყო და გაეგო, რომ მისი ქართველი „მოწაფენი" მანქანასავით იმეორებენ ამ ნახევარ საუკუნის წინად „მანიფესტში" დაწერილ სიტყვებს: მშრომელ ხალხს „სამშობლო არა აქვსო"? რა წარმოდგენას შეადგენდა იგი მეცნიერულ ცოდნის პროგრესზე, რა სახელს უწოდებდა ასეთ კერპთ-თაყვანისმცემლობას? ჩვენ, ვიცით რა მისი მახვილი ენა და პირმოუფერებლობა, შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ მარქსი ბ-ნ მახარაძისთანა ქართველ „მოწაფეებსაც" არ დაზოგავდა და იტყოდა:—არა, მე მარქსისტი არა ვარო...

ივ. რამიშვილი

---

# რუსეთი

✦ ჯავშნოსან „გიორგი პობედონოსცევ„-ის **აჯანგებულ მეზღვაურებს იცავენ** ცნობილი ვექილები ზარუდნი, თავადი ერისთავი, მაკლაკოვი და ტესლენკო. მეზღვაურებს გაასამართლებენ ჯავშნოსან „გიორგი პობედანოსცევ"-ზე (რ. ს.).

✦ სამხედრო გემის „პრუტ„-ის აჯანყებული მეზღვაურები უკვე გაასამართლეს. ზოგს **დახვრეტა გადაუწყვიტეს**, ზოგს კატორგა და ზოგსაც დისციპლინალური ბატალიონი. დასჯილებმა განაჩენის განსაჩივრება მოისურვეს. სასამართლომ შეატყობინა დასჯილებს, რომ თქვენი საქმე ადმირალ ჩუხნინზეა დამოკიდებული და პასუხსაც იმისგან მიიღებთო (რ.ს.).

✦ ვარშავის გენერალ-გუბერნატორმა შეუთვალა ვარშავის მაგისტრატს, ქალაქში **პოლიციის რიცხვს მოუმატეთო** მაგისტრატმა უპასუხა, ფული არა გვაქვს და თქვენს ბრძანებას ვერ შევასრულებთო (რ.ს.).

✦ იაროსლავის გუბერნიაში მცხოვრებმა „სტაროობრიადცებმა" უწმინდეს სინოდს სთხოვეს, 15 წლის წინად **პოლიციამ ხატები და საეკლესიო ნივთები წაგვართვა** და გთხოვთ ახლა დაგვიბრუნოთო. სინოდმა თანხმობა განაცხადა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ წართმეული ნივთები აღარსადა სჩანს, ზოგი მუზეუმებში გაუგზავნიათ, ზოგი პოლიციის დაუდევრობის გამო დამპალა და ზოგიც დაუწვავთ (რ.ს.).

✦ რუსეთის ზოგიერთმა გაზეთმა ხმა გაავრცელა, ვითომ რუსეთის მდიდარი მონასტრები დამშეულ ხალხს 70 მილიონ მანეთს სწირავენო. ამ ამბის შესამოწმებლად „პეტ. ლის."-ის თანამშრომლმა ალექსანდრო-ნევის ეკლესიის ხაზინადარი ინახულა. ხაზინადარმა გადაჭრით განაცხადა, ეგ ჭორია და სხვა არაფერი. სადა გვაქვს ფული, წამოუძახნია ბერს, წელიწადში ჩვენ **ეკლესიას მგალობლები 30,000 მანათი უჯდება**, გათბობა—40,000 მან., განათება—12,000 მ., წვრილი ხარჯი—30,000 მან., ახლა ბერების შენახვა, სახლების შეკეთება, მოსამსახურეები და მოულოდნელი ხარჯებიც რომ ვიანგარიშოთ, ნახევარ მილიონს გადაამეტებს. საცაა გავკოტრდებით კიდევაც. მაშ დამშეულებს არაფერს შესწირავთ?—უკითხავს კორესპონდენტს. არაფერსაც არ შევწირავთ,—გადაჭრით უთქვამს ხაზინადარ ბერს და ერთხელ კიდევ შეუჩივლია, ფული არა გვაქვს და შემოსავალმაც იკლოვო (რ ს.).

## მცირე პასუხი.

(წერილი რედაქციის მიმართ)

ამას წინად „ივერიაში" მცირეოდნად გუსაყვედურე ბ-ნ ჭიჭინაძისაგან შემუშავებულის გეგმის კრიტიკოსებს, ამ გეგმაში მცირეოდენი ღირსებაც კი უარჰყავით-მეთქი, და დავასახელე როგორც შედარებითი ღირსებანი, ისე ნაკლულევანებანი ამ გეგმისა... ეს საყვედური თავისთავზედ მიუღია პეტრე სურგულაძესაც, და თუმცა საყვედური იყო გამოთქმული უკიდურესი სიფაქიზით, მაინც იმდენად მოსვლია კუზე, გულდების არ იყოს, რომ მოუწადინია ძალისძალად დაენახნა წინააღმდეგობა ჩემს აზრებს შორის, რომელნიც გამოთქმულნი იყვნენ ჩემს ორ წერილში. ამ განზრახვით მას ერთი ადგილი მეორე წერილისა ისე შეუმოკლებია, რომ ნათქვამი იანოვსკის ყალბსა და ცბიერს გეგმაზე გამოდის ნათქვამად შესახებ ბ-ნ ჭიჭინაძის გეგმისა, და მაშასადამე—უარყოფა წინა წერილში დასახელებულის მისი ღირსებებისა. ვთხოვ მკითხველს გადაათვალიეროს ხელახლად „ივერიის" 142 და 144 ნომრები და თავისი ბედნიერის თვალით დარწმუნდეს, რომ ორივე ჩემს წერილში სუფევს აზრთა სრული თანხმობა.

საჭიროდ ვრაცხ ახლაც განვიმეორო, რომ ბ-ნ ჭიჭინაძის გეგმა შედარებით იანოვსკის გეგმასთან ნაბიჯის წინ გადადგმად მიმაჩნია, თუმცა ნამესტნიკის მოკლე გეგმა მაღლა სდგას პირველ'ხედაც თავისი სიცხადით, სიმარტივით და სრული დამოუკიდებლობით იანოვსკის ყალბ გეგმასთან.

ამას იმასაც დავუმატებთ, რომ ჩვენი საკუთარი სამოსწავლო გეგმა, რომელიც განვმარტეთ „ცნობის ფურცლის" და „ივერიის" სვეტებზე, ბევრად განირჩევა თვით ნამესტნიკის გეგმისაგან, რომელიც ყველა ოფიციალურს გეგმას სჯობიან. ჩვენი გეგმით, კურსი პირველ-დაწყებითი განათლებისა განისაზღვრება არა ოთხის წლით, არამედ ექვსით; სწავლება ყველა საგნებისა მიდის დედა-ენაზე არა ოთხს წელიწადს, არამედ ექვსსა; რუსული ენა იწყება არა პირველის წლის იანვრიდან, არამედ მესამე წლიდან. და ამას ახლავე ვითხოვ არა მარტო ქართულს ენაზე სტატიების ბეჭდვით, არამედ სხვა, უფრო პირდაპირის გზით. როცა ამ დღეებში ნამესტნიკის კანცელარიიდან მომივიდა სხვა ჩვენებურ პედაგოგებთან ერთ დროს წიგნაკი: Совѣщаніе учителей начальныхъ школъ, და შემდეგ შევიტყე ისიც, რომ წინად განზრახული პირადად მიწვევა ჩვენი უარყოფილ იქმნა, დავსწერე ვრცელი ოფიციალური წერილი ბ-ნის სოკოლოვის სახელობაზედ, რომელიც სამოსწავლო საქმეს განაგებს ნამესტნიკის კანცელარიაში, და ამ წერილში განვმარტე ჩემის საკუთარის გეგმის უპირესობა და დავასრულე იგი იმედით, რომ იგი წაკითხული და სახეში მიღებულ იქმნება ნამესტნიკის საბჭოს სხდომაზე სამოსწავლო გეგმის განხილვის დროსა.

მახლობელს მომავალში მეტსა ვთხოულობ, სახელდობრ სახალხო სკოლის კურსის გაგრძელებას კიდევ ორი წლით (რვა წელიწადი) და ქართულ სახალხო უნივერსიტეტების დაარსებას ჩვენს ქვეყანაში. დასასრულ ვთხოულობ, რომ როგორც ქართულს სახალხო სკოლებს, ისე ქართულს სახალხო უნივერსიტეტებს განაგებდნენ სამოსწავლო საბჭოები, რომელთა წევრები უნდა ამორჩეულ იქმნას ხალხის მიერ, დამოუკიდებლად

თუ ყველა ეს ოპორტუნისტობის სახელით გინდათ მონათლოთ, სიამოვნებით ვკისრულობ ამ სახელსა.

იაკობ გოგებაშვილი.

# კორესპონდენცია

**კახეთი**, 21 აგვისტო. დიდი ხანია, რაც კახეთში მოძრაობა დაიწყო, მაგრამ მემამულეთა და გლეხთა შორის შეტაკება არა ყოფილა. ამ ბოლო დროს კი კახელები ამას ნახვასაც ველირსენით. 8 აგვისტოს ს, გრემში მოუხდათ შეტაკება გლეხებსა და კაზაკ-რუსებს.

ეს რამდენიმე ხანია ადგილობრივ მემამულეებს გამოწერილი ჰყავდათ მიწის მზომელი ტყის დასამიჯნავად.

წინად ეს ტყე სათავადო იყო და თავადებს ერთმანეთში შინაურულად ჰქონიათ გაყოფილი. გლეხებსაც ნებას აძლევდნენ ესარგებლათ ტყით, მაგრამ ეს უფლება გლეხებისა იყო ფიქტიური და არა ნამდვილი. უნდოდათ, მოესპოთ მათი უფლება. ამიტომ გლეხებმა მოითხოვეს, რომ მათი უფლება ტყეზე დაკონონებულ იყო. დაკონების მაგიერ, 8 ამთვეს მოვიდა მიწის მზომელი თავადებისათვის ტყის ჩასაბარებლად და დასამიჯნავად. თან ბოქაული გედევანიძე და კაზაკები მოჰყვნენ.

ხალხი ამდროს კალოებზე იყო და უცბად ერთად შეჯგუფდა. არ უშვებდნენ მიწის მზომელს. ბოქაულის ბრძანებით კაზაკებმა თოფი პირველად ჰაერში ისროლეს, ხალხი არ შეშინებულა, თუმცა იარაღი არა ჰქონია. კაზაკებმა თოფები კიდევ დასცალეს. რამდენიმე კაცი წაიქცა, ხალხი ადგილიდან მაინც არ დაიძრა, თითქოს არა სჯეროდათ, რომ სასიკვდილოდ გაიმეტებდნენ, მაგრამ კიდევ გაისმა ხმა: „ესროლეთ, ხომ ხედავთ რა მაგრა დგანან და ადგილიდან არ იძვრიანო". კიდევ დასცალეს თოფები: ხალხი ახლა კი დაიფანტა, მაგრამ უკანიდგანაც მიაყოლეს. ჯერ-ჯერობით 5 მკვდარია: ერთი 14 წლის ქალი, ორი დედაკაცი და ორიც კაცი, ცხრა კი დაჭრილია, ამათში ორი დედაკაცი და შვიდი კაცი, ექიმის სიტყვით დაჭრილებიდან ორის ან სამის მეტი არ გადარჩება.

ხმები დადის, ვითომც დაჭრილთა რიცხვი 33 იყოს, რადგან თანდათან პოულობენო ვენახებში. რამდენად მართალია ეს უკანასკნელი ცნობა, არ ვიცით, ხოლო პირველი კი უკვე დამტკიცებული ფაქტია. ამ გარემოებამ ხალხზე დიდი გავლენა იქონია, შიშის მაგივრად უფრო მეტად აღელვა და გაამხნევა.

მიცვალებულნი 10 ამ თვეს დაასაფლავეს. დაესწრო მრავალი ხალხი და სოფლების წარმომადგენელნი, წითელი ლენტებიან გვირგვინებით. სხვათა შორის იყო გვირგვინები „კახეთის გლეხკაცობისაგან" „წინანდლის მუშათაგან", „თელავის ჯგუფიდან" და სხვანი. წარმოთქმული იქმნა რამდენიმე სიტყვა.

9 ამ თვეს, თელავში კონცერტი უნდა ყოფილიყო მაგრამ აიხადა თუ არა ფარდა, ერთმა ყმაწვილმა თელავის მოსწავლე ახალგაზრდობის სახელით, უდანაშაულო მსხვერპლთა პატივსაცემად, კონცერტის გადადება მოითხოვა. ამ მოთხოვნილებას ზოგი წინააღუდგა ნამეტნავად სამხედრო წოდების ხალხი, მაგრამ კონცერტი მაინც გადადეს.

ოთხშაბათს, დილის ათ საათზე თელავის ეკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი გრემში დახოცილთა მოსახსენებლად. ამ დროსთვის მთელი დუქნები დაიკეტა. წარმოთქმულ იქმნა რამდენიმე სიტყვა.

სოხია.

## „ივერიის ფოსტა"

**ქუთაისში.** ბ-ნ ანთიას. წერილი „სოფლად" არ დაიბეჭდება.

**ოზურგეთში.** ბ-ნ ჭ. წერილი „მატყუარა ექიმების შესახებ" არ დაიბეჭდება, დაგვიანებულია.

**ს. ჭოტორში.** ბ-ნ ჭოტორელს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

**აბაშაში.** სკრ.—ძ—შვილს. წერილი არ დაიბეჭდება. შეიძლება ვისარგებლოთ.

**ოზურგეთი.** ჭინკას. ამ დღეებშივე.

# ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

20 ავგისტო.

**პეტერბურგი.** გაზეთების ცნობებით, პრესსის შესახებ დანიშნულ კომისიის სხდომები კობეკოს თავმჯდომარეობით ახლო მომავალში განახლდება. კომისია მუშაობას დიდხანს არ განაგრძობს, რადგანაც პროექტი თითქმის შემუშავებულია. ამ რამდენიმე ხნის წინად აღიძრა საკითხი: პროექტს ვის წარუდგენენ: სახელმწიფო საბჭოს, თუ სახელმწიფო სათათბიროს? რჩევის თავმჯდომარე და უმეტესი წილი წევრებისა იმ აზრისა არიან, რომ პროექტი სახელმწიფო სათათბიროს უნდა წარედგინოსო.

**პორტსმუტი**, 19 ავგისტო. დროებით ზავზე ხელი მოაწერეს.

**ტოკიო**, 19 ავგისტო. კატცურამ და იტომ ზავის პირობების წინააღმდეგ აუარებელი პროტესტები მიიღეს.

**პორტსმუტი**, 19 ავგისტო. მარტენს იმედი აქვს, რომ საზავო პირობებს, რუზველტის თანადასწრებით, 23 ავგისტოს ხელს მოაწერენ.

**ხარბინი**, 19 ავგისტო (საკ. კორ.). ხმები ზავის შესახებ 17 ავგისტოდანვე გავრცელდა. არ იცოდნენ, რისთვის დაეჯერათ. უმრავლესობა იმ აზრისა იყო, რომ ზავი არ შეიკვრება. ვიტტეს ოფიციალური დეპეშა აქ 18 ავგისტოს მოვიდა და დღეს გამოქვეყნდა. ზავის პირობების შესახებ დაწვრილებით არაფერი იციან; მიუხედავად ამისა, ზავის ამბავმა ყველა ძალიან გაახარა.

**ნიუ-იორკი**, 19 ავგისტო. დროებით მორიგება ხელშეკრულობის ხელის მოწერის შემდეგ მოხდება. დღეს უნდა მომხდარიყო, მაგრამ იაპონელებმა უარი განაცხადეს, ჯერ ხელშეკრულობას მოაწერეთ ხელი და მერე შევრიგდეთო. რუსები მაინც თავისას თხოულობდნენ, მაგრამ ბოლოს იაპონელებმა მაინც თავისი გაიტანეს.

**ოდესა**, 19 ავგისტო. გენერალ-გუბერნატორმა 3,000 მანეთით დააჯარიმა ბეკკერი, რომლის სახლთანაც ყუმბარამ იფეთქა. დაიჭირა ბეკკერის ცოლი და იმის ორი შვილი. თვითონ ბეკკერი, იმის ცოლი და ქალი მოგილევის გუბერნიაში გადაასახლეს.

**ვლადივოსტოკი**, 19 ავგისტო. გუშინ საღამოს ჯარსა და ხალხს უფასოდ დაურიგეს დეპეშები ზავის შესახებ. ჯარიცა და ხალხიც მეტად გახარებულია ზავის პირობებით.

**ნიუ-კესტლი**, 19 ავგისტო. ეს არის ეხლა ხელი მოაწერეს დროებით მორიგების ოქმს. ჯარების უფროსნი უნდა შეთანხმდნენ შემდეგ საგნებში: ჯარები მთავარ სიმაგრეების უკან გადავიდნენ. ახალ ჯარების გაგზავნა აკრძალულია, საზღვაო და სამხედრო კონტრაბანდის ზიდვა ჯერ კიდევ არ შეიძლება. მაშველი ჯარი, რომელიც ჯერ კიდევ გზაშია, შეჩერებულ უნდა იქმნეს: რუსები ხარბინის სამხრეთით, იაპონელები მუკდენის ჩრდილოეთით. ოქმი ძალაში შევა ზავის ხელშეკრულობას ხელის მოწერის შემდეგ, მომავალ კვირის დამდეგს.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

# განცხადებანი

ტფილისის საგალოსნო სკოლაში
მისაღები ეგზამენები დანიშნულია პირველ ენკენისთვისათვის.

საკომერციო კურსები
ქალებისა და ვაჟებისათვის
(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს**, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1905—1906 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი**, 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) მსწრაფლ-წერა და **წერა-გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს.

**უფასოდ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა.** (24—15)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 20 Августа 1905 г.
ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის. ქ., № 5